პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ კვირა 12 თებერვალი 1978 წ. □ № 37 (17081) □ ფასი 2 კაპ.

სამშობლოს დიდი ჯილდო

საბჭოთა საქართველო სრულიად საკავშირო სოციალისტურ შრომის მარჯვენისათვის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

მოგილოცავ ამ დიდ, საპატიო ჯილდოს, ჩემო საყვარელო სამშობლო!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოკრუგების, საქალაქო და სასოფლო რაიონების, სამრეწველო, საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, სამეურნეობათშორისო, აგროსამრეწველო და სხვა გაერთიანებების, მათი საწარმოო ერთეულების, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება აღნიშნეს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში მოპოვებული შემდგომი წარმატებებით. უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წარმოების მოცულობისა და ეფექტიანობის ზრდა. თანამიმდევრულად სრულდება ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების პროგრამა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვეს:

მოკავშირე რესპუბლიკები

1977 წელს სახალხო მეურნეობის განვითარებაში წარმატებებისათვის

რუსეთის სფსრ
უკრაინის სსრ
ბელორუსიის სსრ
უზბეკეთის სსრ
საქართველოს სსრ
აზერბაიჯანის სსრ
ლატვიის სსრ
სომხეთის სსრ

ავტონომიური რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები

წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის:

რუსეთის სფს რესპუბლიკაში — დაღესტნის ასსრ, კომის ასსრ, ჩუვაშეთის ასსრ, კრასნოდარის მხარე, სტავროპოლის მხარე, ხაბაროვსკის მხარე, ამურის ოლქი, ასტრახანის ოლქი, ბელგოროდის ოლქი, ვლადიმირის ოლქი, გორკის ოლქი, კალუგის ოლქი, ქალაქი ლენინგრადი, ლენინგრადის ოლქი, ქალაქი მოსკოვი, მოსკოვის ოლქი, სვერდლოვსკის ოლქი, ტიუმენის ოლქი;

უკრაინის სს რესპუბლიკაში — ვოროშილოვგრადის ოლქი, კიევის ოლქი, ლვოვის ოლქი, პოლტავის ოლქი, სუმის ოლქი, ტერნოპოლის ოლქი, ხერსონის ოლქი, ჩერკასის ოლქი, ჩერნიგოვის ოლქი;

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — ბრესტის ოლქი, გომელის ოლქი;

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — ყარაყალპაყეთის ასსრ, ანდიჟანის ოლქი, ტაშკენტის ოლქი;

საქართველოს სს რესპუბლიკაში — ყზილორდის ოლქი, ჩრდილოეთ-ყაზახეთის ოლქი;

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში — მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი;

ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში — ოშის ოლქი;

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში — ლენინაბადის ოლქი;

თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — ჩარჯოუს ოლქი.

გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ:

100 ქალაქი და საქალაქო რაიონი;

209 ავტონომიური ოკრუგი და სასოფლო რაიონი;

სამრეწველო, საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, სამეურნეობათშორისო, აგროსამრეწველო და სხვა გაერთიანებების, მათი საწარმოო ერთეულების, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების 1562 კოლექტივი, აქედან 760 კოლექტივი აღნიშნულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სრულიად საკავშირო საპატიო დიპლომით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს ორმად და ყოველმხრივ გაანალიზონ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, დასახონ და განახორციელონ მუშაობის ხელისშემშლელი მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებანი, რათა შეინარჩუნონ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი შეჯიბრების შრომითი შემართება და რიტმი, წლის პირველი დღეებიდანვე უზრუნველყონ, რომ თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა, რაიონმა, ქალაქმა, ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს დადგენილი სახელმწიფო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი. მოაწყონ სრულიად საკავშირო შეჯიბრების გამარჯვებულთა გამოცდილების შესწავლა და ფართო გავრცელება, უფრო სრულად გამოიყენონ ამ მიზნით პრესა, რადიო, ტელევიზია და მასობრივი პროპაგანდისა და ინფორმაციის სხვა საშუალებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად შეიმუშაონ და განახორციელონ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების, მისი ქმედითობის ამაღლების ღონისძიებანი. ყველგან გაავრცელონ 1978 წლის 7 ოქტომბრისათვის — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის ხუთწლედის სამი წლის დავალებათა შესასრულებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა, საუკეთესო კოლექტივების მნიშვნელოვანი თაოსნობანი და ინიციატივები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავენ რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, რაიონების, ავტონომიური ოლქების მშრომელებს, გაერთიანებების, სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების მშრომელებს — სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერი მუშაკები, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელები, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის პასუხად კიდევ უფრო მაღლა აღმართავენ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო-სოციალისტური შეჯიბრების დროშას და ახალ წარმატებებს მიაღწევენ კომუნისტურ მშენებლობაში.

□

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოებული კოლექტივების ნუსხა იბეჭდება დარგობრივ, რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო გაზეთებში.

ხუთწლედის ვახტზე!

ვინც თავი ისახელა

სრული სიმძლავრით ამუშავდა ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკა. იგი აღჭურვილია უახლესი მანქანებითა და მოწყობილობით. ფაბრიკის მიერ გამოშვებული 30 დასახელების ნაწარმი იგზავნება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში. 3 მათგანს მინიჭებული აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი.

კარგი სტარტი აიღო ახალგაზრდა საწარმოს კოლექტივმა მიმდინარე წლის დამდეგიდან. პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად ქუთაისელმა მეტრიკოტაჟეებმა გადაწყვიტეს საგეგმოსთან შედარებით 50 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია გამოუშვან.

საწარმოს ბევრმა მუშაკმა დამკვრელურად დაიწყო ხუთწლედის მესამე წელი, — გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს მოსკოველთა თაოსნობას და წლიური გეგმა შეასრულოს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის.

ამ პატრიოტულ მოძრაობაში ჩაება ფიექარი გულნაზ აბაიშვილი. მოწინავე ფიექარი გრაფიკის გასწრებით მუშაობს, მის მიერ გამოშვებული პროდუქცია მუდამ საუკეთესო ხარისხისაა.

სურათებზე: ზემოთ — მოწინავე ფიექარი, ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი გულნაზ აბაიშვილი; ქვემოთ — ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის ახალი საქსოვი საამქრო.

ბ. მგრასპეპის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ნელს კიდევ უფრო უკეთ

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). გასული საუნებლიო წელი თვალსაჩინო მაჩვენებლებით დამთავრა „ინგმშენის“ ტრესტის კოლექტივმა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გეგმას, რომელიც 23 მილიონ 570 ათასი მანეთის ათვისებას ითვალისწინებდა, მან მილიონ 818 ათასი მანეთით გადაჭარბა და სახელმწიფო დავალება 107.7 პროცენტით შეასრულა. გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის, საცურაო აუზისა და სხვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი მშენებარე ობიექტების პარალელურად ინგმშენებლებმა შარშან 6.927 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები ჩააბარეს შემკვეთს, სადაც ასზე მეტმა ოჯახმა იწვიმა ახალმოსახლეობა.

საიუბილეო წლის შრომითი რიტმი მშენებლებს არც ხუთწლედის მესამე წელს შეუნელებიათ. იანვარში გეგმა 126 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადაჭარბებით შესრულებულია 339 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

— ტრესტის კოლექტივმა, — განაცხადა საუბარში მმართველის მოადგილემ მ. სიეინავამ, გულდასმით გაეცნო რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს, გადაწყვიტა თავისი ღირსეული წვლილი შეეტანოს ამ მეტად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის პრაქტიკული განხორციელების საქმეში.

ინგმშენებლებმა ხუთწლედის მესამე წლისთვის ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. საპირველმაისოდ დამთავრებენ გმირთა მოედნის რეკონსტრუქციას და საექსპლოატაციოდ გადასცემენ სანაპიროზე ახალ კეთილმოწყობილ საცურაო აუზს.

ეს დღეები სოფლად

აგბაშელთა პასუხი

აბაშის რაიონში თითქმის ყველა ფერმა მომგებიანია. დიდი პერსპექტივებია დასახული მეცხოველეობის განვითარების საქმეში. რაიონში მომრავლდნენ ისეთი მწველავები, რომლებიც წლის განმავლობაში ს

იოლ საშოვარზე

ანუ როგორ ადვილად იხვეჭენ კომბინატორები დოყლაპია სამეურნეო ხელმძღვანელების ნდობას და იტაცებენ სახელმწიფო ქონებას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა ამ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულ ღონისძიებებს ახორციელებენ ახალახალი რეზერვების გამოვლენების საფუძველზე რაიონების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის გაძლიერებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაზრდისათვის.

კომპეტენტურმა კომისიებმა გულდასმით შეისწავლეს მთიანი და მთისწინა რაიონების ეკონომიკა. მიგრაციის პროცესის შეჩერებისა და მოსახლეობის მაქსიმალური დასაქმებისათვის მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ეკონომიკურად სუსტ კოლმეურნეობებში ადგილობრივ სანედლეულო ბაზაზე შექმნილიყო სხვადასხვა პროფილის დამხმარე საწარმოები. ასევე წამოწყებამ გაამართლა და ბევრგან მოლოდინს გადააჭარბა ყოველი.

ზოგიერთმა ადგილობრივიმა ხელმძღვანელმა, გაიფიქრა რა ამ ახალ საქმისაგან მოგების წყაროგალმა, დაიგეწყა პარტიის ბრძანებული მითითება, რომ ამ სამუშაოსათვის მუშაკების შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეთ მათი კვალიფიკაციისათვის, ეროვნის, პატიოსნებისა და კომპეტენტურობისათვის. ამით ისარგებლეს იოლი სამოვარის მოყვარულებმა, ახალი ჩობა-ახალური მოიტრეს და მაშინვე ქალაქიდან პირი სოფლისაკენ იბრუნეს.

სოხუმელი იონა მახათაძე დიდხანს მზარეულად მუშაობდა. ბოლო წლებში ეფრო დიდხელფასიან სამუშაოს დაეწყო ძებნა. და აი, მიგობრებმა იკი სოხუმის მეთევზეობის კოლმეურნეობის დამხმარე წარმოებაში — სამუბრო ფუნჯების საამქროში მოაწყვეს. აქ იკი დაუახლოვდა საამქროს მაშინდელ ოსტატს აბელ გოგიას და აღიძრა სურვილი საკუთარი საწარმოს გახსნისა.

საქმოსანმა პირველად ბევი ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიკლის კოლმეურნეობაში სცადა. ეარი მისთვის არავის უთქვამს. კომფორტს შეჩვეულმა კაცმა კიკლელებს გზაც დაუშენა და საამქროსათვის გამოყოფილი შენობაც. ამჯერად ფოლის საშოვრად წამოსულმა „გასტროლიორმა“ „რაიკოლცხოველმრეწვის“ ხელმძღვანელები მოინახულა. გაერთიანების დირექტორს ლ. ეგანოვიძეს, მთავარ ბუღალტერ ზ. იაშვილს შეთავაზებული მაცდური წინადადება ჭკუაში დაუჯდათ.

— ბაბალეთის მებოცვერეობისათვის აშენებული ფერმაში ხელი მოგვეკიდა. ბოკვერი ვერ მოვამზადეთ. ფერმა ეხლა დანაშაულობებს. დადგინდა, რომ საქმოსნები ამზადებდნენ უხარისხო პროდუქციას. იაროსლავლის მომარაგება-გასაღების ბაზაში ამჟამად ინახება 20,000 ციალი ფსტანდარტო, უხარისხო ფეინი. სარეალიზაციოდ უვგარგისია საამქროში აღმოჩენილი 5.300 ფუნჯი და 5.000 სამღებრო გორგოლაჩი.

ეს დანაშაულებრივი ფაქტი იმიტომ მოხდა, რომ ორჯონიკიძის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა სამეურნეო, კომკავშირულმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მოაღწიეს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა, შეასუსტეს სიფხიზლე და დასანანი შეცდომებიც დაუშვეს.

ანალოგიური დარღვევები არის სხვა სოფლებშიც.

რით გაიმართლებენ თავს, კერძოდ, ლენინგან-მარქელისის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, რომლებმაც ზეთის საღებავების საამქროში თბილისიდან ტექნოლოგად მოიწვიეს ვენმე ი. ელიგულაშვილი, რომელსაც არა აქვს სპეციალური განათლება, ან როგორ მიანდეს ამავე სოფლის თავკაცებმა ხილის- წყნრების დამზადების საქმე ე. გაჩეჩილაძეს, რომელიც 1972 წელს გასამართლებული იყო მოსკოვში ქრთამის მიღებისათვის. საეჭვო ფიქრებს აღძრავს კაცს ის ფაქტიც, რომ რაიონში პურის საცხობის გამგედ თბილისელი ს. პაპასკირი მიუწვიეთათ, თუმცა თავისიანე სურვილით დაბრუნდა უკან.

□

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმმა პრინციპულად მოითხოვა, რომ არამცთუ შევასუსტოთ, არამედ სწორედ ახლა კიდევ უფრო უნდა გავშალოთ გლობალური ბრძოლა, გადამწყვეტი შეტევა ყველა ჯურის მაქინატორების, საქმოსნების და კომბინატორების წინააღმდეგ.

სწორედ პლენუმის ამ მოთხოვნის სულისკვეთებით განიხილა ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ორჯონიკიძის რაიონის მეცხოველეობის საკოლმეურნეოთაშორისო გაერთიანებაში მომხდარი დანაშაულობანი და მიიღო მკაცრი დადგენილება.

კომუნისტის სახელის შერცხვენისათვის, სამღებრო ფუნჯების დამხმარე საამქროს უკანონო ორგანიზაციის, საქმოსანთა დანაშაულობებში ხელის შეწყობისათვის, მეცხოველეობის გაერთიანების ყოფილი მმართველი ლ. ეგანოვიძე გაირიცხა სკკპ რიგებიდან.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ა. არეკაძე გამოწვეულ იქნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლიდან და გაიგზავნა რიგით სამუშაოზე. შემდეგ განხილული იქნება მისი პარტიულობის საკითხი.

იმისათვის, რომ ორჯონიკიძის „რაიკოლცხოველმრეწვის“ მუშაკებს არასწორად დაეხმარა სამღებრო ფუნჯების საამქროს ბახსნის თაობაზე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლმეურნეობების საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსმა ვ. გრიგალაშვილმა, რომელიც ხანგრძლივი წლების განმავლობაში მუშაობდა ორჯონიკიძის რაიონში.

გადაწყდა ახალი საამქროს გახსნა. თუმცა არავინ დათვლიერებულა, რომ რაიონში საეგბეი ფუნჯების დამზადებისათვის არავითარი მასალა არ მოიპოვებოდა, არ ჰქონდათ საჭირო დაზგა-დანადგარები, არ ჰყავდათ ამ საქმის მცოდნე მუშახელი.

როგორც საქმოსნებს სჩვეოდათ, ი. მახათაძე მაინც საამქროს გახსნით დიდი მოკვიის დაპირებას იძლეოდა. თუმცა თვითონ არ უნდოდა, რომ გამოჩენილიყო ოფიციალურად და არც იურიდიულ პასუხისმგებლობის კისრულობდა. ასე წამოვიდნენ გაერთიანების დიაყლაპი ხელმძღვანელები სოხუმელი „გასტროლიორის“ ანკეტს.

კიდევ ერთი დანაშაული ჩაიდინეს „რაიკოლცხოველმრეწვის“ თავკაცებმა. მომავალი საამქროს უფროსად შეარჩიეს სახელმწიფო ქონების დაჩაგვებისათვის ნასამართლევი ოშანგი მაღრაძე და სოხუმში აფრინეს ი. მახათაძესთან მოსალაპარაკებლად. საამქროს ორგანიზატორი მაშინვე დათანხმდა ამ კანდიდატურას და 1.000 მანეთი გამოართვა საჭირო მოწყობილობის შესაძენად.

ე. მაღრაძის მარიფათი დიდმა და პატარამ იცის ორჯონიკიძის რაიონში. ჯარასავით დატრიალდა ეს ტანმორჩილი კაცი. სასწრაფოდ მოამზადა ყოფილი ფერმის შენობა მონტაჟისათვის. მიიღეს მოწყობილობანიც და სოხუმის რაიონის კომბინატის ინვალიდთა სახლის საწარმოო წამოწყების ოსტატს ო. ჭელიძეს 2.000 მანეთი გადაუხადეს საამქროს გამართვაში. მანვე შეასწავლა ფუნჯების დამზადების ტექნიკა სოფლის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს.

ამჟამედ ადა კომბინატორი ი. მახათაძე. რაიონისათვის მანამდე უცნობი მისამართებიდან წამოვიდა ფუნჯების წარმოებისათვის საჭირო მასალები. ავტრალიური გადაზიდვის მანქანები მოვიდნენ სოფელ ბაზალეთში ძერეინსკიდან, სოხუმიდან, ბაბუშერიდან, კოდორიდან, ზუგდიდიდან... მთელი ძალით გაჩაღდა მუშაობა, და 1976 წლის ნოემბერში უკვე პირველი პროდუქცია გიგზავნა იაროსლავლის მომარაგება-გასაღების ბაზაში.

პირველი ხელფასის გაკვიმის წინ ბაზალეთში გამოჩნდნენ საამქროს არაოფიციალური „პატრონები“ ი. მახათაძე და მისი ოჯახეული თანაშემწე ა. გოგია. ჩანაფიქრი, ბორბოტმოქმედების ნამდვილი კვანძი ამ დღეს გაიხსნა.

— ეს ნედლეული თავისთავად კი არ მოდის, ამისათვის ფული გვჭირდება, — უთხრა მახათაძემ წარმოების უფროსს უ. მაღრაძეს. — ხარჯები რომ დავთვალოთო, მუშებს თითეული ფულის დამზადებისათვის გამოეუწერთ საპრემიუსტანტო ღირებულებას 80 კაპიკს, ხოლო ხელზე მივცემთ 20 კაპიკს. გარდა ამისა ფიქციურად უნდა გავაფორმოთ კიდევ ერთი 20-კაპიკიანი ბრიგადა, მათთვის გამოწერილი თანხა კი მთლიანად ჩვენი იქნება.

უპატრონო კაცისათვის ეს მაცდური წინადადებაა. როგორც ირკვევა, უ. მაღრაძეს კი პატრონებაზე არასოდეს დაუდვია თავი. სწორედ ასეთი უპატრონო გზით მუშა ამბერკი თაბუკაშვილს შვიდი თვის განმავლობაში 521 მანეთი წაგლეჯეს ხელფასიდან, ლია ლომსაძეს — 346 მანეთი, იზა სულაქველიძეს — 411 მანეთი, თამარ თაბუკაშვილს — 170 მანეთი.

ასთვები კი აქ ათობითია.

ოფრო მეტიც: ზაურ ლურსმანაშვილს, რეზო და გიორგი ხვედელიანებს, გურამ სხირაძეს და სხვებს საერთო არა ჰქონიათ რა საამქროსთან. მაგრამ თითოეულ მათგანზე ხელფასის სახით გამოწერილია 1500-1600 მანეთი, რომელიც მთლიანად საქმოსნებმა ჩაიჯიბეს.

შვიდი თვე იარსება საამქროსანთა ამ ბუდემ და უკვე მოასწრეს ათეათასობით მანეთის დაჯიბება. მეთხეველ კაცებად მოეხვნენი, რომ არაფერი იმლება და, მართლაც, კომბინატორები, თაღლითები მახეში გაეხვნენ, მხოლოდ ა. გოგიამ უშველა გაჩეჩილთ თავს.

ირკვა ეს ამბავი დანაშაულობები. დადგინდა, რომ საქმოსნები ამზადებდნენ უხარისხო პროდუქციას. იაროსლავლის მომარაგება-გასაღების ბაზაში ამჟამად ინახება 20,000 ციალი ფსტანდარტო, უხარისხო ფეინი. სარეალიზაციოდ უვგარგისია საამქროში აღმოჩენილი 5.300 ფუნჯი და 5.000 სამღებრო გორგოლაჩი.

ეს დანაშაულებრივი ფაქტი იმიტომ მოხდა, რომ ორჯონიკიძის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა სამეურნეო, კომკავშირულმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მოაღწიეს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა, შეასუსტეს სიფხიზლე და დასანანი შეცდომებიც დაუშვეს.

ანალოგიური დარღვევები არის სხვა სოფლებშიც.

□

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ეს სავსებით სწორი და მკაცრი გადაწყვეტილება ჭკუის სასწავლებელი უნდა გახდეს სხვებისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ერთხელ კიდევ აფრთხილებს ყველას, რომ არც ერთი დარღვევა არ დარჩება მკაცრი რეაგირების გარეშე — ყოველი ნეგატიური გამოვლინებისათვის დამნაშავე პასუხს აგებს მთელი სერიოზულობით.

ფაქტები. რომელთა შესახებაც მკითხველებს მოვუთხრეთ, სამწუხაროდ, ერთეული როდია. ანლახან სისხლის სამართლის საქმე აღძრა ლაგოდეხის რაიონის პროკურატურამ. თამარიანის მებოსტნეობის საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანების ხელმძღვანელობამ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესაყიდველად თბილისიდან მოიწვია ბუღა მახაშვილი. გასტროლიორმა კომბინატორმა გასული წლის ნოემბერში მეურნეობიდან გატანილი საქვანგარიშო თანხით შეიძინა 87.608 მანეთის ნიორი. ფუნსიები და ზედნადებები გაფორმებულია ისე, თითქოს თითოეული კილოგრამ ნიორი გადახდილია 2 მანეთი და 20 კაპიკი, სახელმწიფოს მიერ კი ნიორის ფასი მთელ სეზონზე დაწესებულია 80 კაპიკი.

ანალოგიური დანაშაულობანი ხდება ადრეთვე თელავის, მესტიისა და ამბროლაურის რაიონებშიც.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ რაიონების პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოები პრინციპულ შეფასებას მისცემენ ამ ფაქტებს და სადარისს მიუზღვავენ დამნაშავეებსა და მათ ხელშემწყობებს.

ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლა ეს ერთი დღისა, ანდა კამპანიური საქმე როდია!

ო. ნიქაბაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ზრომისა და დასვენების უფლება



ზთამგზავრული ძალით...

ბაბალეთის ბაზეთების ფურცლებზე

პროპაგანდას უწევენ კონსტიტუციას

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის — ჩვენი ქვეყნის უმთავრესი კანონის მიხედვით ცხოვრობენ და იღვწიან ჩვენი დიდი სამშობლოს ყოველ კუთხეში. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით შრომობენ მეგთე ხუთწლედის დაგალებათა წარმატებით შესრულებისათვის თბილისელებიც.

სწორედ თბილისელთა საქმიანობაში ახალი საბჭოთა კონსტიტუციის ცხოველმყოფელ მოქმედებაზე მოგვითხრობს გაზეთ **„თბილისის“** 9 თებერვლის ნომერი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ცხოვრობენ, შრომობენ, სწავლობენ და ისვენებენ ჩვენი დედაქალაქელები, თუ რა ახალი ძვრები მოჰყვა ახალ კონსტიტუციას მათს მოღვაწეობაში.

საერთო სათაურები — „შრომით, ძიებით, სწავლით, შემოქმედებით ვადიდოთ მშობლიური ქვეყანა“, „ჩვენი ქვეყნის ახალი კონსტიტუცია ცოცხლობს, მუშაობს, მოქმედებს“, „რით ვეხსახურე ხალხს, სამშობლოს? ყოველ ცისმარე ჭკეთხე საკუთარ თავს“ — სწრაფად აყენებს მკითხველს საქმის კურსში, ხოლო ყოველი მასალის შინაარსს აძლიერებს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პუნქტები, რომლებიც მსუბუქ ჩარჩოებშია გამოტანილი.

იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ სსრკ კავშირის მოქალაქეები სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და პირად უფლებებს, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ კონსტიტუციით, გვესაუბრებიან ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროგაზომვემკეთებელი ქარხნის მექანიკურ-საარაღო საამქროს მუშა ა. დვალიშვილი, ფოლადთუჯსასმელი ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. კურტანიძე, გაზეთების ქარხნის დირექტორი შ. ჯაფარიძე, სახალხო დეპუტატების პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მ. ფილია და სხვები.

გაზეთი გვაცნობს იგრეთვე წარმოების, მოწინავეებს, საბჭოლოგ სამსახურის ფრაიდლინებს, ომის ვეტერანებს, რომელთა უფლებამოვალეობანი განმტკიცებულია კონსტიტუციით.

კეთილი სიტყვით უნდა მოვიხსენიოთ გაზეთი **„ვეჩერნი ტბილისი“**, რომლის ფურცლებზეც კონსტიტუციის თემა ერთ-ერთი უმთავრესი გახდა. მკითხველები, უდავოდ, ინტერესით გაეცნობიენენ გაზეთის 10 თებერვლის ნომრის შიდა გვერდებს. მეორე გვერდზე, მაგალითად, სათაურით — „ერთიან ოჯახად — დიადი მიზნისაკენ“ — თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მაგალითზე ნაჩვენებია ჩვენი ქვეყნის ერთა და ეროვნებათა ურღვევი ძმობა, საბჭოთა ადამიანების ურთიერთდახმარება და ერთმანეთის პატივისცემა. ამ გვერდზე გამოქვეყნებული პარტიული მუშაკების, კომუნისტური შრომის დამკვრელების, ინჟინრების წერილები.

უნდა ალინიშნოს გაზეთის მებრძოლური სულისკვეთება, როცა იგი საზრიანად უპირისპირებს ჩვენს ნამდვილ ოემოკრატიას, სოციალისტურ დემოკრატიას ეგრეთწოდებული „თავისუფალი სამყაროს“ ცრუ და ყალბ დემოკრატიას. ინტერესით იკითხება მესამე გვერდზე მოთავსებული მასალები. „რასიზმის მხეცური ინსტინქტები“ — ეს სათაური ზუსტად ახასიათებს კაპიტალისტური საზოგადოების არსს, სადაც ჯუნგლის დაუნდობელი კანონები ბატონობს, სადაც კაცი კაცისთვის მგელია, სადაც ფართო სარბიელი უპოვია ეროვნულ და რასობრივ შელტს, სიძულვილსა და ჩაგვრას.

გაზეთი „ვეჩერნი ტბილისი“ პირველად არ აქვეყნებს ასეთ გვერდებს, იგი უნარიანად უწევს პროპაგანდას სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას. ეს კარგი, საჭირო საქმე კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

ზრომა ჩვენს ქვეყანაში სახელოსა და დიდების საქმეა. ამ დღეებში დიდი აღმავლობით შრომობენ ჭიათურის ახალი ითხვიის მაღაროში. ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ვლ. გინზბურგმა გადაიღო და უწოდა „მოდის ცვლა“.

ზრომელთა დასვენების კერები ზამთარშიც მთელი დატვირთვით მუშაობენ. კურორტ ბიჭვინთის კეთილმოწყობილ პანსიონატებში პროფკავშირული საგზურებით ამყოფად ორი ათასზე მეტი მშრომელი ისვენებს. ამ სურათზე საქინფორმის ფოტოკორესპონდენტმა ი. ჭოხონელიძემ აღბეჭდა ბიჭვინთის ერთ-ერთი კუთხე.

თეორიის საკითხები

სოციალისტური ცხოვრების წესი

საგჯოუარი მორალის სინამდვილე

კოლექტივიზმი ჩვენი ზნეობაა, რაც სრულიად ეფუძნება მშრომელთა ინტერესებს, მიზნებისა და იდეალების ერთიანობას. ასეთი ერთიანობის, ნებაყოფლობითი, შეგნებული და უანგარო ურთიერთზრუნვის გარეშე ადამიანთა ერთობის არა აქვს ნამდვილი კოლექტივის სახე. იქ, სადაც ხალხს იძულებითი შრომა და ანგარება აერთიანებს, საქმე გვაქვს, როგორც მარქსი იტყოდა, „კოლექტივიზმის სუროგატთან“.

სოციალისტური ცხოვრების წესი გამორიცხავს ასეთ იძულებას და ანგარებას. ჩვენთან იძულების ადგილს **შეგნებულობა** იჭერს, ხოლო ანგარების ადგილს — **მიზანშეწონილობა**, ჯანსაღი პრაქტიკული აზრი, გონგილიანობა და სიბეჯითე. ასეთია რეალური ვითარება, საბჭოური ცხოვრების წესის დღევანდელი მორალური ფიზიონომია. განვითარების ტენდენცია კი ისეთია, რომ შეგნებულობა პიროვნებათა სრული სოციალიზაციის გზით მაღლდება პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიამდე, ესე იგი, **თავისუფლებამდე.** ხოლო მიზანშეწონილობა და ჯანსაღი პრაქტიკული აზრი უმაღლეს ღირებულებათა თვითრეალიზაციისა და კულტურული პროგრესის გზით მაღლდება სრულ **უანგარობასა და მორალურ კეთილშობილებამდე.** იქ, სადაც არ იგრძნობა ეს ძვრები და არ ხარობს მომავალი კომუნისტური ურთიერთობების მორალური ყლორტები, არც გვაქვს საქმე ნამდვილ საბჭოურ ცხოვრებასთან. სამწუხაროდ, ასეთი ლოკალური ჩამორჩენილი უბნები, თუ მთელი რეგიონები, ჯერ კიდევ იშვიათი არ არის, რაც ჩვენი საზოგადოების ყველა რგოლის მუშაობის შემდგომ გააქტიურებას მოითხოვს.

ასეთ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო პარტიულ-ორგანიზაციულ ზემოქმედებას, არამედ, კულტურულ-იდეოლოგიურ მოღვაწეობასაც, კერძოდ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას. ჩვენ ჯერ კიდევ ვართ საბჭოთა სინამდვილის წინაშე: ჩვენი რესპუბლიკის ინტელექტუალური პოტენციალის ყველა რეზერვი არ არის გამოყენებული იდეოლოგიურ ბრძოლაში. სათანადო ლიტერატურასა და იდეოლოგიური ზემოქმედების არხებში ჯერ კიდევ იშვიათია დამაჯერებელი და ემპატიკური ინფორმაცია კერძომესაკუთრული ტენდენციების, მომხვეჭელობის, ეგოიზმის, ინდივიდუალიზმისა და მომხმარებლური ობიეტალური ფსიქოლოგიის მანკიერებისა და ბოროტების შესახებ როგორც სპეციალურ, ისე პოპულარულ. პროპაგანდისტულ ლიტერატურაში ჯეროვანი სისტემით ნაჩვენები არ არის საბჭოური, კოლექტივისტური ცხოვრების, ყველა უპირატესობა და უმაღლეს ადამიანურ ღირებულებათა სოციალური დეტერმინაციის როლი და ადგილი.

საბჭოური ცხოვრების წესის კოლექტივისტური ბუნება შინაგანი აუცილებლობით მოითხოვს **საჭოთა პატრიოტიზმის** გრძნობებისა და იდეალების გაღვივებას და განვითარებას. საბჭოთა პატრიოტიზმს ასაზრდოებს იმის შეგნება, რომ სწორედ ჩვენმა ხალხმა მოახდინა პირველად კაცობრიობის ისტორიაში სოციალისტური რევოლუცია, დაამარცხა შინაგანი კონტრრევოლუცია და გარეგანი ინტერვენციები, აშენა პირველი სოციალისტური საზოგადოება, იხსნა მსოფლიო ფაშიზმის გადატენებისაგან, გაიკაფა გზა კაცობრიობის კოსმოსისაკენ და ძლევამოსილი ნაბიჯებით მიდის წინ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

ყოველივე ეს და საბჭოთა ხალხის კიდევ მრავალი სხვა გმირობა და წარმატება არ შეიძლება არ იწვევდეს კანონიერი სიამაყის გრძნობას ისტორიულ და ლეგენდარულ საკაცობრიო ეპოპეაში აქტიური პიროვნული მონაწილეობისათვის. ვისაც ამის შეგნება და განცდა არა აქვს, ის ან მტერია ჩვენი, ან პოლიტიკურად უწიგნური, როგორც ერთს, ისე მეორეს ესაჭიროებათ დახმარება ნებისყოფისა და ჩამორჩენილი შეგნების გამოფხიზლებაში. ახალი საბჭოთა კონსტიტუცია იძლევა ასეთი ჰუმანურობისა და სულგრძელი კეთილშობილების გამოვლენის შესაძლებლობას.

გზასაცდენილთა მკურნალობის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა მოთმინებითი და შეუპოვარი, დამაჯერებელი იდეოლოგიური პროფილაქტიკა. ვერავითარი სასჯელი და იძულებითი მკურნალობა ვერ გაიკეთებს იმდენ სასარგებლო საქმეს ამ სფეროში, როგორც მართალი სიტყვა, გულწრფელი გრძნობა, ნათელი აზრი და წმინდა სინდისი. ამ ფაქტორების სრული ამოქმედება და მაქსიმალური გამოყენება იდეოლოგიის გადაუდებელი ამოცანაა.

საბჭოთა პატრიოტიზმის ამაღლებულ გრძნობას საბჭოური ცხოვრების წესში ორგანულად ერწყმის **ეროვნული სიამაყის** ეთიკურშემეცნებული გრძნობები, ეროვნული პატრიოტიზმის ჯანსაღი და კანონიერი მისწრაფებები. საბჭოთა სახელმწიფო მრავალეროვანი ორგანიზმია და რა პატრიოტი იქნები, თუ არ ეცალე შენი ერისა და ხალხის წარმატებასა და აყვავებას.

საბჭოთა პატრიოტიზმისა და ეროვნული სიამაყის გრძნობებსა და იდეალებს შინაგანი ორგანული კავშირი აქვთ **პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის** იდეალებთან და გრძნობებთან. ძნელი არ არის ამ კავშირის დანახვა და შეფასება: თუ პატრიოტიზმი სამშობლოს სიყვარულია, ყველა უნდა ცდილობდეს გაუმრავლოს სამშობლოს მეგობარ-მოკეთე. სხვა ხალხებს პატივი უნდა სცე, დაფასო და დაეხმარო, თუ გსურს რომ შენი ხალხიც ასევე დაფასონ, პატივი სცენ და დაეხმარონ.

მრავალეროვან ცივილიზაციაში მორალური ურთიერთობის სწორედ ეს „ოქროს წესი“ გამოჯის წინა პლანზე. თუ ამ წესში ეთიკური თვალსაზრისით რამე ანგარება და პირობითი იმპერატივი იგულისხმება, რასაც კანტმა პრინციპულად დაუპირისპირა თავისი კატეგორიული იმპერატივი (სხვას უნდა დაეხმარო არა იმიტომ, რომ იგი შენ დაგეხმარება, არამედ იმიტომ, რომ თვითონ დახმარებაა სიკეთე და მოვალეობა), სამაგიეროდ, პრაქტიკულ ცხოვრებაში ამ პირობით-იმპერატივს საღი პოლიტიკური აზრი და გონიერული მიზანშეწონილობა ეწოდება. ამით სრულებითაც არ იჩრდილება ობიექტური სამართლიანობისა და ღირსების უპირატესი პატივისცემის იდეალები და მისწრაფებები. სხვა ერებსა და ხალხებს ჩვენ მაშინაც დავეფასებდით, ჩვენი ერისა და ხალხისათვის არაფერი სასარგებლოს გაკეთება რომ არ შეეძლოთ; მაგრამ დავეფასებდით სწორედ იმიტომ, რომ მათაც ჩვენსავით ინტერნაციონალურ კეთილმოსურნეობ მივიჩნევდით. ერისა და ხალხის კეთილმოსურნეობა ის აუცილებელი ნიშანია, რომელსაც ეფუძნება მის მიმართ ყოველგვარი სიმპათიის, თანაგრძნობისა და სოლიდარობის გამოვლენა და შესაძლებლობა.

ერებისა და ხალხების ურთიერთობა ჩვენს ეპოქაში რთული სოციალურ-პოლიტიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური პრობლემაა. ჩვენი მსოფლმხედველობა—მარქსიზმ-ლენინიზმი და ჩვენი სახელმწიფო — განვითარებული სოციალიზმის ქვეყანა იძლევიან ამ რთული ისტორიული პრობლემის სწორ, სამართლიან თეორიულ და პრაქტიკულ გადაწყვეტას.

მარქსიზმ-ლენინიზმი პრინციპულად აღიარებს ხალხებისა და ერების ყოველგვარი უთანაბრობისა და პრივილეგიულობის წინააღმდეგ მათი რიცხობრივი სიმრავლის, დასახლების გეოგრაფიის, ეთნიკური კუთვნილების, მატერიალური და სულიერი სიმდიდრის, ისტორიული დამსახურებისა და განვითარების პოტენციის მიუხედავად. ყოველ ამ პარამეტრს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ერის, ქვეყნისა თუ მთელი კაცობრიობის შემდგომი ბედისათვის, მაგრამ არც ერთი უპირატესობა ამ მონაცემებში არ აძლევს რომელიმე ერს სხვა ერებთან შედარებით რაიმე მორალურ და პოლიტიკურ უპირატესობას. რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების სხვაობა ვერ გადადის ღირსებათა სხვაობაში. **ეროვნული ღირსება, ისე როგორც ადამიანური ღირსება საერთოდ, თავისთავადი, შეუფალი და აუწონავი ღირებულებითი ფენომენია.** ეს არის ერთა და ხალხთა საყოველთაო თანასწორობის მორალური და პოლიტიკური საფუძველი.

აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ ყოველი ერისა და ხალხის ენას, კულტურას, ჯანსაღ ტრადიციებს არსებობის და განვითარების ერთნაირი უფლება აქვთ. ერთი რომელიმე ერის მიერ სხვა ერების შთანთქმისა და ასიმილაციის პოლიტიკა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის პრინციპულად გამორიცხულია როგორც რეაქციული.

ეროვნული პოლიტიკისადმი ასეთი ლენინური მიდგომას ეყრდნობოდა ჩვენი ქვეყნის ყველა კონსტიტუცია და იგი კიდევ უფრო ნათლად და მკაფიოდ არის წარმოჩენილი ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში.

როცა საბჭოთა კავშირში შემავალი ერებისა და ეროვნებების დაახლოების შესახებ ლაპარაკობდა, ამბ. **ლ. ი. ბრეჟნევმა** აღნიშნა, რომ ეს ობიექტური პროცესია და არ არის არავითარი საჭიროება ხელოვნურად დავაჩქაროთ იგი. მაგრამ პარტია ვერ შეეგუება ვერავითარ ცდას — ხელი შეუშალონ ერების დაახლოების ამ ბუნებრივ პროცესს. შეიძლება ვინმემ იკითხოს, თუ რატომ არ უნდა დავაჩქაროთ შეგნებულად ის სოციალური პროცესი, რომელიც ობიექტურად თავისთავად მიმდინარეობს და მის პროგრესულობაში ეჭვი არ გვეპარება? თუ ერების დაახლოება სიკეთეა, მაშინ ამ დაახლოების დაჩქარებაც სიკეთე უნდა იყოს.

საქმე ის არის, რომ სწორედ **თანდათანობაა** ეროვნული ფენომენის დიალექტიკური განვითარების ის ზომა, რომელიც საშუალებას იძლევა უმტკივნეულოდ მიმდინარეობდეს ერების დაახლოების ჯანსაღზომიერი პროცესი. აქ სპეციფიკის გაუთვალისწინებლობა ხშირად იწვევს გაუგებრობასა და წინააღმდეგობებს. ამ რთული საკითხის განმარტებაში გარკვეული წვლილი შეიტანა პარტიის ინტერნაციონალური პოლიტიკის შესახებ 1976 წელს თბილისში გამართულმა საკავშირო კონფერენციამ და საკავშირო ჟურნალ „კომუნისტში“ დაბეჭდილმა წერილმა — „მასების ინტერნაციონალისტური აღზრდა“. კომუნისტური პარტიის მიზანია არა ერების გათქვეფა და ასიმილაცია, არამედ აყვავება და განვითარება, მათი ურთიერთდაახლოება და თანაშრომლობა. დაახლოება აყვავების გზით და აყვავება დაახლოების გზით, — ასეთია პარტიის ეროვნული პოლიტიკის დიალექტიკური ფორმულა. დამაჯერებელი განმარტებაა! ვინც ამას არ გაითვალისწინებს და ან მხოლოდ დაახლოებას მიიჩნევს მთავარ მიზნად, ან მხოლოდ აყვავებას, ის დაუშვებს შოვინისტურ და ნაციონალისტურ შეცდომებს.

საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ერი ერთსა და იმავე დროს თავის მშობლიურ ენასა და კულტურას ავითარებს და რუსული ენის — ეს მეორე მშობლიური ენისა და საერთო საბჭოთა კულტურის ფუფლებისათვის **სულ უფრო მეტ პრაქტიკულ ნაბიჯებს** დგამს. სხვაგვარად შეუძლებელია, თუ გვსურს არ შევლახოთ ერების თანამშრომლობისა და თანასწორობის პრინციპები; ორენოვანი განვითარების გარეშე ჩვენს პირობებში შეუძლებელია **როგორც** ეკონომიკური და პოლიტიკური, ისე კულტურული და საერთოდ სოციალური პროგრესი.

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ იმ აზრს, და ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — **საბჭოთა ხალხი.** არავის არ ეპარება ეჭვი, რომ „ერთიანი საბჭოთა ხალხის“ ცნება არ გამორიცხავს სხვადასხვა ერებისა და ეროვნებების არსებობას. ასევე არავის არ უნდა შეეპაროს ეჭვი, რომ საბჭოთა ხალხის ერთიანი საერთო ენის დაკვიდრების პროცესი და მისი რეალური არსებობის ფაქტი რუსული ენის სახით — არ გამორიცხავს ყოველი ერის **მშობლიური ენის სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას** და მისი შემდგომი განვითარებისათვის ზრუნვის აუცილებლობას.

საბჭოური ცხოვრების წესის ერთ-ერთი სპეციფიკა სწორედ ასეთი ორენოვანი განვითარებაა. აქ არ ვლაპარაკობთ საერთოდ ერების მომავალი განვითარების შორეულ ბედზე, რასაც სპეციალურად იკვლევს მეცნიერული კომუნიზმის თეორია.

ყოველგვარი სირთულისა და წინააღმდეგობის გასაღები ისევ და ისევ დიალექტიკაა. ხალხთა მეგობრობას და ინტერნაციონალურ სოლიდარობას მაშინ აქვს აზრი და გამართლება, როცა საქმე სწორედ **სხვადასხვა** ხალხს და ერებს ეხება. ყოველი ერთიანობა და კავშირი **განსხვავებულთა** ერთიანობას ვულისხმობს, წინააღმდეგ შემთხვევაში გასაერთიანებელი და შესაკავშირებელი არაფ

ხელოვანი და დრო

მიეცი ნიჭსა გზა ფართო!

კრობლემები, რომლებიც გვაღელვებს

გრავალეროვნული საბჭოთა კულტურის განვითარების პროცესში, კომუნისტური საზოგადოების შენებლობისა და მსოფლიოში ძლაფრი იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ახალგაზრდა მხატვრებს, კომუნიზმისათვის აქტიურად მებრძოლი ადრეული იდეურ-თეორიული აღზრდას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება — „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან შუშაობის შესახებ", მარტო პარტიის უდიდეს ზრუნვას როდი მოწმობს სოციალისტური კულტურის აწმყოსა და მომავალზე, იგი ამასთანავე მოუწოდებს კიდეც ყველა შემოქმედთან კავშირს მეტი გულისყურით მოეკიდოს ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკების იდეურ-შემოქმედებით ჩამოყალიბებას.

მხატვრის შემოქმედებითი ინდივიდუალობა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემის ზევავლენით ყალიბდება. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს მხატვრული სკოლა, რომელიც განსაზორციელებს მხატვარ-მოქალაქის კომპლექსურ, გეგმაზომიერ და სისტემატურ აღზრდას პროფესიული და მსოფლმხედველობითი ფაქტორების მთლიანობაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მხატვართა კავშირის თითქმის ყველა წევრი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის აღზრდილია.

მომავალ მხატვართა იდეურ-შემოქმედებითი ჩამოყალიბების პროცესი არ შეიძლება მხოლოდ საშუალო და უმაღლესი განათლებით შემოიფარგლოს. დამოუკიდებელ შემოქმედებით მუშაობას რომ იწყებს, ახალგაზრდა მხატვარს უხდება ძალზე რთული ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა, რომ აღარაფერი ვთქვათ წმინდა პრაქტიკულ, ცხოვრებისეულ სიძნელეებზე. იგი ღარ არის მოსწავლე, მაგრამ არც გარკვეული საზოგადოებრივი მდგომარეობა აქვს და არც მხატვართა კავშირის წევრია. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ამისათვის, თუ როგორ იმუშავებს იგი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებას შემდეგ. რა დასამალია, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც უმაღლესში რეალისტური ხელოვნების ჩვეულები შეითვისა, ტოვებს რა სასწავლებლის კედლებს, ამ ჩვეულებს ავიწყებს და მთელი მომდინარეობათა გავლენით ცრუფესპერიმენტატორობის გზის იდგება და არცთუ იშვიათად ღუპავს კიდეც თავის ნიჭს.

ახალგაზრდობის ფართო მონაწილეობა საკავშირო სამხატვრო გამოფენებში სსრ კავშირის ეროვნული კულტურის განვითარებისა და აყვავების საქმეში ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ნათელი დადასტურებაა. ახალგაზრდა მხატვართა ნაწარმოებებს ახასიათებს ცხოვრების დამკვიდრებული სიხალასე, საბჭოთა ადამიანის შინაგანი საყაროს სიმდიდრის გამოხატვისადმი, ჩვენი სინამდვილის პოეტური გახსნისადმი მისწრაფება. გაფართოდა რეალისტური მხატვრული ტრადიციების ის წრეც, რომელსაც ეყრდნობიან ახალგაზრდები თავის ძიებაში.

მაგრამ ეს ტრადიციები ყოველთვის როდი სათანადო სიღრმით შემოქმედებითად გააზრებული და გარდაქმნილი. ზოგიერთი ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებაში თავი იჩინა ფორმალისტურმა მანერიზმმა, ზერელე სტილიზაციამ და პრიეტიეზმმა. ისინი ეფუძნებიან ჩვენი ხელოვნების ტენდენციები დაუახლოვონ თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნების ფონეს, მონახონ შეხების წერტილები ამ ორ სრულიად საპიროსპირო სამყაროს შორის. ვფიქრობთ, ეს მექანიკური დაახლოება გარეგნული მხატვრული ფორმებისა, უეზრობაა.

ზერელე, ფსევდო-რეალისტური, დაბალი პროფესიული დონის ნამუშევრების წინააღმდეგ ბრძოლამ, აშკარად ცალმხრივი ხასიათი მიიღო ჩვენ ავანგარდებზე არ ვფიქრობთ ნატურალისტურ, სინამდვილის ზედაპირულად ამსახველ ნამუშევრებს, ვებრძვით ფოტოგრაფიზმს, რომელიც ამ ოცი წლის წინად ავსებდა საგამოფენო დარბაზებს. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ფართო გზა ეძლევა მეშჩანურ, სალონურ ხელოვნებას, ზერელე სტილიზაციას, ეკლექტიკურ მანერიზმს.

როდესაც ბურჟუაზიული ხელოვნების იდეოლოგიები სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ვითომც უსუსურობის დამტკიცებას ცდილობენ, მაგალითად მოჰყავთ ზოგიერთი უნიპო, ზერელე, არაფრისმთქმელი ნამუშევარი, რომელთაც საერთო არა აქვთ არც სოციალისტურ რეალიზმთან, არც საერთოდ ხელოვნებასთან. არავითარ ექს არ იწვევს ის დებულება, რომ მაღალმხატვრული ნაწარმოები შექმნისათვის საბჭოთა ხელოვნებაში მხოლოდ სწორი იდეოლოგიური პოზიცია არ არის საკმარისი. ღიდი მხატვრული ტალანტი და დაძაბული შემოქმედებითი შრომა თუ არ იქნა, ისე ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები არ შეიქმნება.

ზოგჯერ გაიგონებთ პროვინციელი „ნოვატორების" შეძახილებს: თავის დროზე საზოგადოება ამმპრესიონისტებსაც არ სცნობდა. დღეს კი უდიდეს მხატვრებად ირიცხნი აღიარებენ. ამ ახალგაზრდების მხატვრულ „აღმონენებს" სულ ცოტა სამოცი წლის ისტორია მაინც აქვს. ასეთი იაფფასიანი ზერელე სტილიზაცია და ალეგორიული ფორმით ეონალიორობა დამახასიათებელი იყო ამ საუკუნის ოციანი წლების მხატვრობისათვის და იგი კარგა ხანია ჩაბარდა წარსულს ისე, რომ თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარებაზე შესამჩნევი კვალი არც კი დაუმჩნევია.

კულტურის სამინისტროს, მხატვართა კავშირისა და სამხატვრო აკადემიის პოზიცია ასეთი ხელოვნების მიმართ მტკიცე და პრინციპული უნდა იყოს. ვფიქრობ, არ არის საჭირო მხატვრობის აკიძალვა, ასეთი ადმინისტრაციული ზომები მხატვრებში ყოველთვის წინააღმდეგობის სულს აღვიძებს. ისინი „პროგრესული ხელოვნებისათვის" წამებული გმირების პოზას იღებენ და ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვარს ჭეშმარიტი ხელოვნების გზადან აცდენენ. მაგრამ სრულიად არ არის საჭირო ასეთ ხელოვანთა წახალისებაც. ერთი სიტყვით, ჩვენ მხარი არ უნდა დავუჭიროთ ისეთ ხელოვნებას, რომელიც მოწინავე საზოგადოებასა და ხალხს არ სჭირდება.

სითამამე აუცილებელია ყველა პროფესიის ადამიანისათვის. ოამამი და გაბედული უნდა იყოს მხატვარიც თავის შემოქმედებაში, პროგრესული თვალთახედვა, ახალი ხერხები ვიდრე ცხოვრებისა ნამდვილისა, აუცილებელი თვისებაა ჭეშმარიტი ხელოვნებისა, მაგრამ ეს ახალი სიტყვა, ახალი ენა სახვით ხელოვნებაში ლოგიკური შედეგი უნდა იყოს იმ დიდი და დაძაბული შრომისა, რომელსაც მხატვარი ეწევა თანამედროვე იდეურ-ესთეტიკური ძიოცესების გადაწყვეტის დროს. ნუ დაავიწყდება ზოგიერთ ახალგაზრდა მხატვარს, რომ ხელოვნების ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს ნოვატორის სახელი მუშტითა და პროტესტიანი დიდ კვიდრეფნოს.

დღეს პროფესიულ მხატვრულ კრიტიკას განსაკუთრებული ძოვალეობა ეკისრება. საჭიროა ყველაფერი, მეცნიერული მეფასება ყველა იმ მიმართულებისა, რომელიც თანამედროვე ქართულ მხატვრობაში არსებობს, საჭიროა ყურადღების გამახვილება თანამედროვე სახვითი ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ტენდენციებზე. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში ამ მიმართულებით ძალიან ცოტა რამ კეთდება. ზშირად იბეჭდება ზერელე რეცენზიები სახვითი ხელოვნების გამოფენებზე, რომელშიაც ცოტად თუ ბევრად ყველა მხატვარს აქებენ.

ვფიქრობ, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს საგამოფენო კომიტეტებს, საკონკურსო და საპრემიო ჟიურების მუშაობას. ეს ის ძირითადი კვანძები გვწყლავენ კულტურის სამინისტროსა და მხატვართა კავშირის საქმიანობაში, სადაც ყალიბდება და მტკიცდება ქართული საბჭოთა ხელოვნების იდეურ-მხატვრული მიმართულება და ნაწარმოებთა პროფესიული დონე. ამ ორგანოთა თანამედროვე ქართული კულტურის მიმართ ლოიალურმა პოზიციამ, ჟიურის წევრთა არაობიექტურობამ შეიძლება გაამრუდოს ან შეფერხოს ეროვნული სახვითი ხელოვნების ლოგიკური განვითარება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს ამ სფეროში. საკონკურსო თუ საპრემიო კომიტეტებში, სადაც სახვითი ხელოვნების ნაწარმოებს შეფასება ხდება, მხატვრები საკმაო რაოდენობით არ არიან წარმოდგენილ ლ ი. ასეთი ვითარების გამო საკონკურსო და საპრემიო კომიტეტების გადაწყვეტილებებში სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა განხილვისას, ზოგჯერ შეცდომები ხდება.

მხატვრობა კავშირის შემოქმედებითი პოზიცია და სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლის სასწავლების პროცესის მიმართულება განუყოფელია. ამას ადასტურებს საბჭოთა რეალისტური ხელოვნების მთელი ისტორია. მხოლოდ ამ ორი რგოლის შეთანხმებულ, კორდინირებულ ჭეშმარიტ ხელოვნების ბაზიდან აცდენენ. მაგრამ სრულიად არ არის საჭირო ასეთ ხელოვანთა წახალისებაც. ერთი სიტყვით, ჩვენ მხარი არ უნდა დავუჭიროთ ისეთ ხელოვნებას, რომელიც მოწინავე საზოგადოებასა და ხალხს არ სჭირდება.

ეს ამ თვალსაზრისით ახალგაზრდა მხატვრებისადმი დამამარცხა მეტად მნიშვნელოვანი ფორმაა შემოქმედებითი ხელშეკრულებებისა და შემოქმედებით სახელოსნოებში მუშაობის სისტემა, რომელიც სსრკ სამხატვრო აკადემიამ შემოიღო. ჩვენი ეზრით, ასეთი სასარგებლო პრაქტიკა შემდგომ კიდევ მეტად უნდა გაფართოვდეს.

შემოქმედებითი ახალგაზრდობის აღზრდა-დოსტატებასთან დაკავშირებული ყველა საჭირბოროტო პრობლემა ასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში, რომელიც სოციალისტური კულტურის აწმყოსა და მომავალზე ჩვენი პარტიის დიდი ზრუნვის დადასტურებაა.

ამ დოკუმენტის ყოველი სიტყვა, მისი სულისკვეთება მოუწოდებს ყოველ ჩვენგანს, ყველა შემოქმედებით ორგანიზაციას უფრო მეტი ენერგიით მიიღოს ძონაწილეობა ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკთა იდეურ-შემოქმედებითს ჩამოყალიბებაში. ხოლო თავის მხრივ შემოქმედებითი ახალგაზრდობის ღირსების საქმეა პარტიის განუხრელ მზრუნველობას უპასუხებდეს ჩვენი დროის ამსახველი თვალსაჩინო ნაწარმოებების შექმნით, მთელი თავისი ნიჭი მოახმაროს ხალხს სამსახურს!

გ. თოთიბაძე,
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

ᲡᲐᲥᲠᲔᲡᲘ

მსოფლიოს ქარიანი

ტელეტაიპი გადმოგცემს

საშიში კურსი

ᲕᲘᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲐ

ვაშინგტონი. 10 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეები აჩაღებენ კამპანიას გამალებული შეიარაღების შემდგომი გაძლიერებისათვის. ამ მიზანთან დაკავშირებით, „საბჭოთა მუქარის" შესახებ, მეორე მხრივ — ცდილობენ დაამტკიცონ, რომ სამხედრო ხარჯების გადიდება, ახალი სახეობისა და სისტემების იარაღის შექმნა თითქოს ხელს შეუწყობს გამოცოცხლდეს ამერიკის ეკონომიკა, თუმცა ცარგადაა ცნობილი, რომ სწორედ გამალებული შეიარაღება არის ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის ახლანდელი ობედურების მთავარი მიზეზი.

ეს კამპანია, კერძოდ, გამოიხატა ორი დოკუმენტის შექმნით. ეს არის თავდაცვის მინისტრის კ. ბრაუნის მოხსენება კონგრესისადმი 1979 საფინანსო წლისათვის პენტაგონის სამხედრო ბიუჯეტის შესახებ და ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის განცხადება სამხედრო დარგში ადმინისტრაციის პოლიტიკის გამო.

პირველ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები 1979 საფინანსო წლისათვის გაზრდება 128,4 მილიარდ დოლარამდე მიმდინარე საფინანსო წლის 116,7 მილიარდთან შედარებით. როგორც კ. ბრაუნმა განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები მომავალ წლებში ჯერ კიდევ არ იქნა უზრუნველყოფილი ერთგული, საქმის მცოდნე კადრებით. ამის შესახებ რამდენჯერმე იმსჯელა პარტიის საქალაქო კომიტეტმა, დასახა კიდეც დონისძიებები. შექმნილი ვითარების გამო გაზეთსაც ნამდვილი განგაში უნდა აეტეხა. მთელი მოსახლეობა დაიარაზმა ბოროტმოქმედთან საბრძოლველად, გაიქლიერებინა თავისი გამოსვლების შეტევითი აქტიურობა. ყველაფერი კი პირიქით ზოხდა.

გაზეთს თითქმის გამორრა მომსახურების სფეროს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაშუქება, წინა პლანზე არ წამოუწევია კომუნისტებისა და კომკავშირელების საქმიანობა, არ განუზოგადებია მოწინავეთა გამოცდილება და პრაპაგანდა არ გაუწევია თბილისის ლენინის სახელობის ელმავლსაშენებელი ქარხნის თაოსნობისათვის, სათანადოდ არ დაუსვია ხელგაშლილ მომხმარებლებთან ბრძოლის საკითხი.

გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" ფურცლებზე მოსახურების სფეროს მუშაობის გაშუქების მდგომარეობის შესახებ ამ დღეებში იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის და ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საკორდინაციო კომისიამ, ამ თვალსაზრისით რედაქციის საქმიანობა შეაფასა არადამაკმაყოფილებლად და მიუთითა მის კოლექტივს, რომ მოკლე ვადაში გამოასწოროს აღნიშნული ნაკლოვანებანი.

„ჭიათურის მაღაროელის" რედაქციის მუშაკებს მართებთ მეტი შემოქმედება, მთელი ძალების მობილიზება, მკითხველთა აქტივის შემოკრება, ცხოვრებისეული პრაქტიკული საკითხების ღრმა ცოდნა, მეტი გამბედაობა, ინიციატივა და ჭრნიციპულობა საქმეში.

ვ. აბრამოვი,
გ. კალანდაძე.

მწერლის ხსოვნის აღსანიშნავად

სრულდება თვალსაჩინო ქართველი საბჭოთა პოეტის ალი მაჭავარიანის (მირცხულავას) დაბადების 75-ე წლისთავი.

იმის გამო, რომ პოეტს დიდი ღვაწლი მოუძღვის ქართული საბჭოთა ლიტერატურის წინაშე, გადაწყვეტილია რუსულ ენაზე გამოიცეს მის რჩეულ ნაწარმოებთა სამტომეული.

ზომის რაიონის სოფელ ხოლგაში, საიაც პოეტი დაიბადა, გაიხსნება ა. მაჭავარიანის (მირცხულავას) სახლ-მუზეუმი, სადაც შეკრებენ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს, ზომში დაიდგმება პოეტის ბიუსტი.

უახლოეს ხანებში ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ბიბლიოთეკას მიენიჭება ა. მაჭავარიანის (მირცხულავას) სახელი. (საქინფორმი).

საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა პარტიულ სამუშაოზე გადასვლის გამო ამბ. **ნ. მ. ლეკიშვილი** გაათავისუფლა საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამბ. **ა. ი. ხუციშვილი.**

საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამბ. **გ. მ. თალაკვაძე.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამბ. **თ. ნ. მენთეშაშვილი,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამბ. **უ. კ. შარტავა.** (საქინფორმი).

ᲘᲚᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ

ᲐᲑᲐᲨᲐ. (საკ. კორ.). იღბლიანი გამოდგა „საქსოფლტექნიკის" ადგილობრივი განყოფილების მექანიზატორის ტარი კუპრეიშვილის საახალწლო ლატარიის ბილეთი — № 277, სერია 91803, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „ჟიგული-21011".

ᲚᲘᲑᲐᲜᲘ

კვლავ დაძაბულობა

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 10 თებერვალი. (საკდესი). **ლიბანის დედაქალაქში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია.** შეუთხე დღეა გრძელდება სისხლისმღვრელი შეტაკებები ეროი მხრივ, ლიბანის არმიის ზოგიერთ ქვეგანაყოფსა და კონსერვატული „ლიბანის ფრონტის" რაზმებსა, და მეორე მხრივ, სირიის ჯარებს შორის, რომლებიც შედიან არაბული სახელმწიფოების მშვიდობის დაცვის ძალების შემადგენლობაში. „ლიბანის ფრონტი" განაგრძობს თავისი ძალების გადიდებას ბეირუთში, გადაჰყავს იქ შეიარაღებული რაზმების დამატებითი კონტინგენტები. შემაჯერებენ ქრისტიანულმა პარტიებმა მოუწოდეს თავიანთ მომხრეებს ეისხან იარაღი. გაბედუთები იუწყებიან, რომ ბეირუთი დახოცილი და დაჭრილი, მათ შორის მშვიდობიან მეცხოვრებთა შორის. ამავე დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, რომლებსაც კონტროლს უწევენ ჩემარჯვენე ძალები. აღვიქვამენ ანტისირიულ კამპანიას.

ლიბანის მთავრობა ახორციელებს მდგომარეობის ნორმალიზაციის ღონისძიებებს. ქვეყნის პრეზიდენტმა ე. სარკისმა მიიღო სიგარეო საქმეთა მინისტრი ფ. ბუტროსი, რომელიც დამასკოდან დაბრუნდა. იქ იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა სირიის ხელმძღვანელებთან. როგორც ლიბანის პრემიერ-მინისტრმა ს. ჰოსმა განაცხადა, სირია-ლიბანის მოლაპარაკება „სასარგებლო იყო და ხელს შეუწყობს მდგომარეობის სტაბილიზაციას".

ანალიზებს რა ქვეყანაში მომხდარ მოვლენებს, ადგილობრივი პრესა ხაზს უსვამს, რომ ახლად შექმნილი ლიბანის არმიის ფაქტიურად იქცევა კონსერვატიული და რეაქციული ორგანიზაციების დასაყრდენად, რომლებიც ცდილობენ იგი თავიანთ სასარგებლო იარაღად გაიხადონ.

მამხილებელი დოკუმენტი

ვაშინგტონი, 10 თებერვალი. (საკდესი). **ვაშინგტონის საბჭოთა საელჩომ ამერიკის შეერთებული შტატების ხახელმწიფო დეპარტამენტს გადასცა სსრ კავშირის პროკურატურის დოკუმენტური მასალები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკური უწყების ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის მოხელე — იუნესკოში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე კ. ვარვარივი მეორე მსოფლიო ომის წლებში აქტიურად თანამშრომლობდა ნაცისტებთან დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე.**

როგორც ვიცით, საბჭოთა პრესამ უკვე ამხილა კ. ვარვარივის დანაშაულებრივი წარსული, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა ხელისუფლებამ დღემდე უყურადღებოდ დატოვეს ამ ნაცისტი დამჭაშის წინააღმდეგ წაყენებული სერიოზული ბრალდებანი, და შეეცადნენ კიდეც დაეცვათ იგი.

ᲞᲐᲡᲐᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ვაშინგტონი, 10 თებერვალი. (საკდესი). **ამერიკის კოსმოსური სადგური „სკაილაბი", რომელიც დედამიწისირგვლივ ორბიტაზეა, შეიძენს მიწაზე ჩამოვარდეს მომავალ წელს, ₃ იუწყება აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო (ნასა).**

როგორც უკვე იუწყებოდნენ, „სკაილაბის" ორბიტის გაზომვამ ცხადყო, რომ 85 ტონა სიმძიმის კოსმოსური სადგური გაცილებით უფრო სწრაფად კარგავს სიმაღლეს, ვიდრე გათვალისწინებული იყო. იგი ორბიტაზე გაიყვანეს 1973 წელს და თავდაპირველად ნასა აპირებდა 1980 წლის დამლეგს კოსმოსური ხომალდის საშუალებით „სკაილაბზე" გაეგზავნა ძრავის დანადგარი სადგურის უფრო მაღალ ორბიტაზე გადაყვანისათვის ან მისი დაშლისა-კენ ბებისათვის იმ ვარაუდით, რომ ატმოსფეროში შეშოსვლის შემდეგ მისი ნაშთები ოკეანეში ჩავარდნილიყო.

ᲞᲔᲘᲯᲛᲐ ᲘᲐᲞᲝᲕᲐ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ

რომი, 10 თებერვალი. (საკდესი). **როცა ნატოელი გენერლები დიპლომატიურ ვოიაჟს იწყებენ, მათი ხაიდუმლო ზრახვები და სურვილები ხშირად აშკარა ხდება.** მაგალითად, იტალიაში ნატოს გაერთიანებულო შეიარაღებული ძალების ომაღლესმა მთავარსარდალმა ა. ჰეიგმა, რომში გამოსულისას, თავისი „მაყოფილება" გამოთქვა პეკინის საგარეო-პოლიტიკური კურსის გამო. „ჩვენ გაგებით ვეკიდებით იმ სარგებლობას, რომელსაც ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობა ეძლევა „ანტიჰეგემონიზმის" ფორმულა, ეს ფორმულა ეხმარება ჩინეთს ბრძოლა გაუტეხოს ბრძოლა ჩინეთის ახლანდელ ხელმძღვანელობას". ეს ფორმულა ეხმარებიან ჩინეთს ბრძოლა ეწარმოებინა ამერიკის ეკონომიკა, თუმცა ცარგადაა ცნობილი, რომ სწორედ გამალებული შეიარაღება არის ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის ახლანდელი ობედურების მთავარი მიზეზი.

ეს კამპანია, კერძოდ, გამოიხატა ორი დოკუმენტის შექმნით. ეს არის თავდაცვის მინისტრის კ. ბრაუნის მოხსენება კონგრესისადმი 1979 საფინანსო წლისათვის პენტაგონის სამხედრო ბიუჯეტის შესახებ და ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის განცხადება სამხედრო დარგში ადმინისტრაციის პოლიტიკის გამო.

პირველ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები 1979 საფინანსო წლისათვის გაზრდება 128,4 მილიარდ დოლარამდე მიმდინარე საფინანსო წლის 116,7 მილიარდთან შედარებით. როგორც კ. ბრაუნმა განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები მომავალ წლებში ჯერ კიდევ არ იქნა უზრუნველყოფილი ერთგული, საქმის მცოდნე კადრებით. ამის შესახებ რამდენჯერმე იმსჯელა პარტიის საქალაქო კომიტეტმა, დასახა კიდეც ღონისძიებები. შექმნილი ვითარების გამო გაზეთსაც ნამდვილი განგაში უნდა აეტეხა. მთელი მოსახლეობა დაიარაზმა ბოროტმოქმედთან საბრძოლველად, გაიქლიერებინა თავისი გამოსვლების შეტევითი აქტიურობა. ყველაფერი კი პირიქით ზოხდა.

გაზეთს თითქმის გამორრა მომსახურების სფეროს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაშუქება, წინა პლანზე არ წამოუწევია კომუნისტებისა და კომკავშირელების საქმიანობა, არ განუზოგადებია მოწინავეთა გამოცდილება და პრაპაგანდა არ გაუწევია თბილისის ლენინის სახელობის ელმავლსაშენებელი ქარხნის თაოსნობისათვის, სათანადოდ არ დაუსვია ხელგაშლილ მომხმარებლებთან ბრძოლის საკითხი.

გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" ფურცლებზე მოსახურების სფეროს მუშაობის გაშუქების მდგომარეობის შესახებ ამ დღეებში იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის და ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საკორდინაციო კომისიამ, ამ თვალსაზრისით რედაქციის საქმიანობა შეაფასა არადამაკმაყოფილებლად და მიუთითა მის კოლექტივს, რომ მოკლე ვადაში გამოასწოროს აღნიშნული ნაკლოვანებანი.

„ჭიათურის მაღაროელის" რედაქციის მუშაკებს მართებთ მეტი შემოქმედება, მთელი ძალების მობილიზება, მკითხველთა აქტივის შემოკრება, ცხოვრებისეული პრაქტიკული საკითხების ღრმა ცოდნა, მეტი გამბედაობა, ინიციატივა და ჭრნიციპულობა საქმეში.

ვ. აბრამოვი,
გ. კალანდაძე.

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

გამგზედაობა, ინიციატივა!

გაზეთი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲚᲔᲑᲘ დიდი ყურადღებით კითხულობდნენ 24 იანვარს თავიანთ გაზეთს „ჭიათურის მაღაროელს." ისინი სრულიად ეთანხმებოდნენ, მხარს უჭერდნენ რუბრიკით — „დაუნდობელი ბრძოლა ნეგატიურ მოვლენებს" — გამოქვეყნებულ წერილს.

მართლაც, იმ დღეს გაზეთმა მეტად პრინციპულად ამხილა ჭიათურის სამთამადნო კომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილების ქსელში არსებული დარღვევები, საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება. რედაქმა, რომელიც რედაქციამ მოაწყო, გამოავლინა დეფიციტური საქონლის ვადამალვის. ფასების წამატების, საწყობში მოუვლელობით ათასობით მანეთის ბოსტნეულის გაფუჭების ფაქტები.

და საერთოდ, „ჭიათურის მაღაროელმა" მიმდინარე წლის იანვარში რამდენიმე საგულისხმო მასალა გამოაქვეყნა, რომლებიც მოლიანად ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნება. აღსანიშნავია, მათ შორის: „ცნობიერი ფაქტები და .."; „გარაჟი თუ კერძო რეწვის სანელოსნო", „თითოეულისა და ყველას საზრუნაი" და სხვ.

გაზეთმა ერთგვარად გააქტიურა მუშაობა ამ მიმართულებით, მაგრამ რედაქციის კოლექტივს მართებს მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესება, ოფიციალურ სულად ავსოს დღევანდელობის მოთხოვნილებას და თავი დააღწიოს იმ არასასურველ ავმანიერობას, რომელიც შეიმჩნევა მათ მიერ მომსახურების სფეროს საქმიანობის გაშუქებაში.

მაგალითად, შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის შემდეგ, როცა მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა მომსახურების სფეროში არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. „ჭიათურის მაღაროელიც" აქტიურად ჩაება ჭიათურაში პარტიის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით მომსახურების სფეროში „სარეის" დასამყარებლად ფაქიერ ბრძოლაში. ისევე როგორც წელს იანვარში შარშან თებერვალშიც გაზეთში ვაჭრობა კრიტიკული გამოსვლების ქმედითობას. რიგი ორგანიზაციების ხელმძღვანელები არ უპასუხებენ გაზეთის მიერ დასმულ საკითხებზე და გაზეთი ამის გამო ხშირად ვერ აღწევს დასახულ მიზანს. მართლაც, „ჭიათურის მაღაროელის" ფურცლებზე აშვიათად შეხვდებით გამოქვეყნებულ პასუხებს დაბეჭდილ ან გადაგზავნილ წერილზე. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთისადმი დახმარების გამართული საუბარი მრგვალ მაგიდასთან. საუბარში მონაწილეობას იღებდნენ საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის ხელმძღვანელები, სპეციალისტები, მომხმარებლები. მრავალი საყურადღებო საკითხი დაისვა, რომელთა გადაჭრა ბევრად გაუმჯობესებდა მუშაობას. მათ განხორციელებაში გაზეთსაც უნდა შეეტანა თავისი წვლილი. მაგრამ რედაქციამ დაიგვიწყა მრგვალ მაგიდასთან დასმული საკითხები და აღარ დაბრუნებია. კმაყოფილდებოდა უმთავრესად ინფორმაციული ხასიათის მასალების გამოქვეყნებით, ისიც ხანგამოშვებით.

მართალია, პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი ყურადღებას უთმობს თავისი ორგანოს მუშაობას, მაგრამ მაინც სრულყოფილად ვერ იყენებს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ამ უმნიშვნელოვანეს საშუალებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის, მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

საკმარისია ვთქვათ, რომ „ჭიათურის მაღაროელის" ფურცლებზე ბოლომდე ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს შესახებ, თავი რომ დავანებოთ ღრმა, ანალიზური წერილებს, ერთი ინფორმაციაც კი არ დაბეჭდილა, არც ავისა და არც კარგის მთქმელი, ხოლო ეს თებერვლის შემდეგ უმთავრესად სხვადასხვა ორგანიზაციებში ჩატარებული ღონისძიებების და პარტიული. პროფკავშირული და კომკავშირული კრებების ინფორმაციული ხასიათის ანგარიშის გამოქვეყნებით კმაყოფილდებოდა. და საერთოდ, მომსახურების სფეროში საქმიანობას მეტად სუსტად ამუშებდა.

რატომ ირჩია გაზეთმა ასეთი დუმილი? რატომ შეწყვიტა ერთბაშად კარგად წამოწყებული საქმე? როგორც სჩანს, რედაქციის კოლექტივს გულს უტკივს ის, რომ ვერა და ვერ მიაღწიეს კრიტიკული გამოსვლების ქმედითობას. რიგი ორგანიზაციების ხელმძღვანელები არ უპასუხებენ გაზეთის მიერ დასმულ საკითხებზე და გაზეთი ამის გამო ხშირად ვერ აღწევს დასახულ მიზანს. მართლაც, „ჭიათურის მაღაროელის" ფურცლებზე აშვიათად შეხვდებით გამოქვეყნებულ პასუხებს დაბეჭდილ ან გადაგზავნილ წერილზე. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთისადმი დახმარების მიზნით ამ საკითხზედაც იმსჯელა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა, საქმე მაინც არ დაძრულა ადგილიდან.

გაზეთის ფურცლებზე არ იბეჭდება პრობლემატური წერილები მომსახურების სფეროდან. ამბიათად ვხედავთ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების წერილებს, რომლებშიც ნათლად იქნება ასახული მათი მოღვაწეობა.

გაზეთის მკითხველებთან კავშირის დაკარგვა, მშრომელთა სურვილების გაუთვალისწინებლობა, მათთვის საინტერესო მასალების ვამოუქვეყნებლობა ხელს უშლის სწორი საზოგადოებრივი აზრის შექმნას, ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ საბრძოლველად მშრომელთა ფართო ფენების დარაზმვას, პარტიის პო

„შუშანიკის წამების“ ახალი სიცოცხლე

ჩვენი კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავ ქმნილებას — იაკობ ცურტაველის **„შუშანიკის წამებას“**, რომელიც პირველ ლიტერატურულ ძეგლად ითვლება. მისი დაწერიდან 1.500 წელი გავიდა, მაგრამ ნაწარმოებისადმი ინტერესი არ ნელდება.

გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გადაწყვიტა ღირსეულად აღენიშნა ქართული მწერლობის ამ შედევრის იუბილე და მიზნად დაისახა „შუშანიკის წამების“ ისეთი გამოცემა მიეწოდებინა მკითხველებისათვის, რომელიც, ერთი მხრივ, გააცნობდა ძს მსოფლიოს ხალხებს, ამავე დროს ჩვენთვის უნიკალურ წიგნად გადაიქცეოდა.

და აი ამ იშვიათი გამოცემის პირველი მაკეტები უკვე წარმოებას გადაეცა. ეს არის ჭედური ყდაში ჩასმული, ფერადი ილუსტრაციებით დამშვენებული წიგნი, სადაც ვერ ნახავთ სტამბურ შრიფტს. ძეორე ასეთივე მაკეტი კი აწყობილია სტამბური წესით.

ჩვენი გახეთის კორესპონდენტი **ლ. ხუბულური** შეხვდა გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს **ოთარ ეგაძეს**, რომლის თაოსნობითაც ამ ნაწარმოებმა ახალი სიცოცხლე პოვა და მიმართა მას რამდენიმე კითხვით.

— გთხოვთ, უპირველეს ყოვლისა, ცოტა რამ გვითხრათ „შუშანიკის წამების“ უნიკალურ გამოცემაზე.

— თავისთავად იაკობ ცურტაველის ეს ნაწარმოები უნიკალურია, მას დიდი საერთო მნიშვნელობა აქვს, ეს საყოველთაოდ ცნობილია, რაც შეეხება ჩვენი გამოცემის უნიკალობას, საკმე იმაში გახლავთ, რომ შეეკავდეთ წიგნისათვის, ერთგვარად შეგვნარჩუნებინა მისი პირველყოფილი სახე, და რადგან საუკუნეების მანძილზე იგი ხელით იწერებოდა, გადაგწყვიტეთ ასევე ხელნაწერის სახით მიგვეწოდებინა მკითხველებისათვის. ამ საქმისათვის მოვიწვიეთ მხატვარი გიორგი ნადირაძე, რომელმაც მთელი ტექსტი ხელით გადაწერა, და არა მარტო ქართული, ასევე ხელით გადაწერა ლათინურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ესპანურ ენებზე თარგმნილი ტექსტები.

ხელნაწერ ტექსტს დაამშვენებს მხატვრების მ. მალაზონიას, ბ. ბერძენიშვილის, ზ. ნიკარაძის, თ. მირზაშვილის, ლ. შენგელიას, ლ. ცუცქირიძის, სამეული მხატვრის (ქორაკაძე, სლოვინსკი, ჩიკვაიძე) და ზ. ხაბაძის რვა-რვა ფერადი ილუსტრაცია.

წიგნს გაუკეთდება ორიგინალური ყდა. ტირაჟის ერთი ნაწილი დაიბეჭდება მხატვარ ს. ბახტაძის მიერ ამოტვიფრულ ჭედურ ყდაში, მეორე ნაწილი — ბეწვიან ყდაში.

ფორზაცად შიდა ყდას დაერთვის საქართველოს რელიეფური რუკა, უკანა ფორზაცად კი ქართული ანბანი — ასომთავრული, ხუცური და თანამედროვე წიგნის დაბეჭდვაში დიდ დამსახურებას გვიწევს საკავშირო გამსახელმის თავმჯდომარე ბ. სტუკალინი, მან გამოგვიყო პოლიგრაფიული სტამბა, ლენინგრადას „აეჩატი დვორი“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დიდი დახმარება გაგვიწიეს ამ საქმის დაგვირგვინებაში. ძარტო „შუშანიკის წამების“ ჭედური ყდების დასამზადებლად გამოყოფილია შვიდი ტონა სპილენძი. ბეწვეიანი ყდის გადასაკრავად — 5000 ხარის ტყავი. ეს ტყავი შემოხდილია არგენტინიდან და თავისი ხარისხით ფაქიზი პროდუქციის დამზადების საშუალებას იძლევა.

— კიდევ რომელ უნიკალურ გამოცემაზე მუშაობს თქვენი კოლექტივი, რას მიაწვდის უახლოეს ხანში მკითხველებს?

—ჩვენს მუშაობაში მნიშვნელოვან ადგილ იმიჭირა **მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის უილიამ შექსპირის თხზულებათა სრული თარგმანის გამოცემა.** მინდა ძოგახსენოთ, რომ ევროპის არც ერთ ენაზე არ ერის გამოცემული შექსპირის ყველა ნაწარმოები სიღეკეტური კომპოზიციებით დასურათხატებული. რა თქმა უნდა, იხგლისშიც, ევროპის ქვეყნებშიც გამოცემულია ხელით თხზულებები ნაკრები ილუსტრაციებით, გრავიურებით, ეპოქის ძსახველი ორიგინალურული ძეგლებით, პოეტის პორტრეტებით თუ ბარელიეფით, მაგრამ არც ერთ ქვეყანაში ამ დიდი მგოსნის ხაწარმოებები ფერხატულობით, თანაც ისე, რომ ხახატს გაეხსნას შექსპირის პიესების არსი, არ არის.

პირველი ტომი იხსნება ლადო გუდიაშვილის მიერ ფაქიზი ფერებით შესრულებული შექსპირის პორტრეტით, რომელიც მან ახლახან შექმნა. აქვე არის ზ. ნიკარაძის, მ. მალაზონიას, ჯ. ლოლუას, ნ. იგნატოვის, ლ. შენგელიას, ი. ჭელიძის ნამუშევრები. პირველ ტომს სულ ძალე მიიღებენ ხელისმოწერები, მეორე და მესამე ტომები შუა წელსა და წლის ბოლოს გამოვა.

ასევე უნიკალური გამოცემა იქნება წიგნი-ალბომი **„ნიკო ფიროსმანაშვილი“**, რომლის შემდგენელად მოვიწვიეთ ცნობილი მხატვარი თ. მირზაშვილი. ალბომი გამოქვეყნდება ქართულ, რუსულ, ინგლისურ და სხვა ენებზე. მასში შევა 400 ფერადი ილუსტრაცია. აქედან 200 დედანი და ამდენივე ფრაგმენტი. ალბომი ფართოფორმატიანია, მის დასაბეჭდად გამოგვიყვეს მოსკოვის ექსპერიმენტული სტამბა-ლაბორატორია, სადაც მთელი ტირაჟი ხელით დაიკეცება.

ალბომში შედის ჩვენს მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში, დაცული დიდი მხატვრის ნამუშევრები. „ნიკო ფიროსმანაშვილის“ მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დაბეჭდულია უცხოეთის ქვეყნებში სარეალიზაციოდ.

გამოსაცემად ვამზადებთ იგრეთვე სასაჩუქრო ალბომს „იავნანა“. ეს იქნება საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე ევროპის, აზიისა და აფრიკის ხალხთა სიმღერა „ნანას“ ტექსტები და ნოტების კრებული, ყველა ხალხის დედათა ტკბილ საგალობელს დაერთვის ამ ქვეყნის წარმომადგენელი ქალის ფერადი სურათები. წიგნს გადაეკვრება ოქროსფერი ნაქარგი ფარჩა.

იბეჭდება **ყინწვისის ფრესკები** (შემდგენელი ო. ფირალიშვილი), **ატენის ფრესკები** (შემდგენელი გ. ობრამიშვილი).

ლ. ტოლსტოის დაბადების 150-ე წლისთავთან დაკავშირებით „ხელოვნება“ გამოსცემს გამოჩენილი რუსი მწერლის **„101 პორტრეტს“** (ძემდგენელი პროფესორი გ. თოთობაძე).

გამოვა ალბომი „ვ. ი. ლენინის იერსახე ქართულ სახვით ხელოვნებაში“, რომელშიც შეკავ ასამდე ქართველი მხატვრის ნამუშევარი; კლავირი-ალბომი **„სამშობლო ომის თემა ქართულ მუსიკაში“**, იბეჭდება პიესების კრებული „პეტრე ბაგრატიონი“ (რუსულ ენაზე) აგრეთვე პიესების კრებული **„ერეკლე“**.

კიდევ მრავალ საინტერესო წიგნსა და ალბომს ჰპირდება გამომცემლობა „ხელოვნება“ თავის მრავალრიცხოვან მკითხველებს.



სილამაზის, გრაციის სკოლა

აქ ეუფლებიან ქორეოგრაფიის ხელოვნებას

1916 წელს საქართველოში იყო ცნობილი იტალიელი მოცეკვავე მარიან პერინი. მას ისე მოეწონა და შეუყვარდა საქართველო, რომ გადაწყვიტა დარჩენილიყო თბილისში და შექმნა პირველი საბალეტო სტუდია, რომელსაც შემდეგ, 1936 წელს, სათავეში ჩაუდგა ქართული კლასიკური ქორეოგრაფიის ცნობილი სპეციალისტი დავით ჯავრიშვილი.

1957 წელს საბალეტო სტუდიის ბაზაზე სახელმწიფო სასწავლებელი შეიქმნა.

როგორც ცნობილია, სწორედ ამ სტუდიასა და სახსწავლებელში ბევრი სახელგანთქმული მოცეკვავე აღიზარდა. საკმარისია დავასახელოთ ვ. ჭაბუკიანი, მ. ბაუერი, ლ. გვარამაძე, ნ. რამიშვილი, ზ. კიკალეიშვილი, ჯ. ბაგრატიონი, ნ. ჯანდიერი, ლ. მთიაშვილი, ვ. გუხაშვილი და სხვები.

ამჟამად, ქორეოგრაფიულ სასწავლებელში გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით 180 მოსწავლე ეუფლება კლასიკური და ხალხური ქორეოგრაფიის რთულ და ლამაზ ხელოვნებას.

ს. კილაძე.

• • •

სურათებზე: V კლასის მოსწავლეები აკა ჩხეიძე, ია ბა კოშელავა და ნინო ბაჯელიძე; საქართველოს სახალხო არტისტი ლ. მთაშვილი ამეცადინებს მე-7 კლასის მოსწავლეს ქ. მუხაშავრიას; კლასიკური ცეკვის გაკვეთილზე.

ავტორის ფოტო.

ჩემო სამშობლო მხარეო...

ომისდროინდელი მიყენებული ჭრილობა დღესაც არ მოუშუბია მის უშიალო მონაწილეს, შინმოუსელელთა ოჯახებს... მართლაც, ქალაქად თუ სოფლად ოშვიათად ძოინახავ ოჯახი, რომლის მამებს, შვილებს, ახლობლებს არ მიეღოთ მონაწილეობა დიდ სამამულო ომში მტერთან სამკვერო--სასიცოცხლო ბრძოლებში. ბევრი მათგანი ხომ ბრძოლის ველზე დაიღუპა მამაცურად, ზოგნი კი დაჭრილ-დაუძლურებულნი და დავდომილნი ტყვედ ჩავარდნენ...

ამ წერილით • მსურს მკითხველთ ვაუწყო და მოვუთხრო ძხოლოდ ერთი ადამიანის საბედისწერო, სათავგადასავლო ბიოგრაფია...

შრომობდა, ცხოვრობდა, შინაარსიანად და ხალისიანად ატარებდა დროს შალვა ბაჩიაშვილი. მას შშობლიურ სოფელ იყალთოს ტოლ-მეგობრები და გლეხკაცობა იცნობდნენ, როგორც საიმედო მშრომელს, ალალ ვაჟკაცს... შემოდგომის ერთ დღეს, მამაძისმა გიორგიმ ტყეში გაგზავნა და ტყიდან მოჭრილი შუხის მორის ჩამოტანა დაავალა. შალვა მაშინვე გაეშურა, მამის დავალების შესასრულებლად. ქედაღერილი კამეჩები თავქვე მოათრევდნენ უღელს გამობმულ მორს. ერთბამად მორი დაცურდა, კამეჩს დაეჯახა და ფეხი მოსტეხა. ცხოველი წაიქცა, მაგრამ ძალვა არ დაბნეულა, კამეჩი სასწრაფოდ გაათავისუფლა, უღელი თვითონ მოიქცია მკლავებში, მეორე კამეჩთან ერთად გაიწია და ჩაიტანა სოფელში მორი. იმ დღიდან სოფელში შალვას გოლიათი შეარქვა. მისი ასეთი სიძლიერე მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა ბიდაობაში — არსენ მეკოკშვილმაც შეიტყო, საგანგებოდ ჩავიდა სოფელ იყალთოში, გაიცნო შალვა და დაუშეგობრდა.

1936 წელს შალვა დაქორწინდა, გულია სწორი — ვარა ნადირაშვილი შეირთო, რომელმაც ის იყო უმაღლესი სასწავლებლის ბიოლოგიის ფაკულტეტი დამთავრა. ახალშეუღლებული ცოლქმარი ერთგულებითა და სიყვარულით ქმნიდნენ საკუთარ ოჯახს. ყველაფერი თავისი წესითა და რიგით მიდიოდა. ეყოლათ შვილი. ახალგაზრდებს სურვილი და ოცნება თანმიმდევრულად ესრულებოდათ, რომ უცბად, მოულოდნელად ფაშისტური გერმანია მუხანათურად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს. დაიწყო ომი. შალვა არმიაში გაიწვიეს. იგი ემშვიდობებოდა მშობლებს, ცოლსა და ორ წლიანბავრის ომარს.

შალვა თანასოფლელებთან ერთად წავიდა ქვეყანაა და ხალხის საშველად... ყველაზე დიდი სიმწარე იგრძნო მან ქალაქ ქერჩში — 1942 წლის გაზაფხულზე მარცხენა თვალში მტრის ტყვია რომ მოხვდა, დაკარგა მხედველობა, გრძნობა და... ტყვედ ჩავარდა.

მას შემდეგ დიდხანს მკურნალობდა ჰოსპიტალში, ძაღლუმადური ყოფნა, შიმშილი, დამცირება, ხიბტისა და ავტომატის ქვეშ უმოწყალო ფიზიკური შრომა ლუკმაპურის სამოვნელად — ჯერ ავსტრიაში, შემდეგ ფედერაციულ გერმანიაში, მოგვიანებით კი ოკეანის გაღმა, ამერიკაში... მის თხოვნას, რომ სამშობლოში დაებრუნებინათ, კატეგორიული უარით უპასუხებდნენ იქაური სახელმწიფო აპარატის მესვეურები... აუვარდებოდა ტირილი და კვლავ შიხ დაბრუნების იმედი ჩაესახებოდა... საგულისხმოა ის გარემოება, რომ უცხოეთში ყოფნისას მას არც გვარი და სახელი შეუცვლია, არც ქვეყნის მოქალაქეობა, ქვეშევრდომობა უთხოვია და არც ოჯახს მოჰკიდებია... შალვა ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი ქვეყნისა და ოჯახისა...

„...ვარა, ძვირფასო, — წერდა ერთ-ერთ წერილში მეუღლეს, — რა ბედნიერები ხართ, თავისუფლად რომ სუნთქავთ შშობლიურ ჰაერს, ცისმარე დღეს, „გამარჯვებასა“ და „მშვიდობას“ ქართულად რომ უსურვებთ ხოლმე ერთმანეთს, მისჩერებიხართ ბოლოს შალვა ბაჩიაშვილმა ქალაქ ჩიკაგოში დაიდო ბინა. იგი თავდაუზოგავად, გათენებიდან დაღამებამდე მუშაობდა ნიკელის საამქროში, როგორმე ფული რომ დაეგროვებინა და ხელსაყრელ მომენტში მოეხერხებინა წამოსვლა. ასე განვლო ომის დაწყებიდან ოცდათხუთმეტმა წელმა... მას არავინ ჰყავდა უცხოეთში გულშემატკივარი, მბრუნველი, ქომაგი, და მუდმივმა დაძაბულობამ დაჯაბნა, დაასნეულა, დაუძლურა იგი. ხშირად თვითმკვლელობამდე მიდიოდა, მღიძარე ჩიკაგოში თავის დაბრჩობაც კი გადაწყვეტია, მაგრამ გაახსენდებოდა თუ არა ცოლ-შვილი, სამშობლო, თეთრ კავკასიონს და მასავით ქართველთა გულში ადამიანის კეთილ სურვილებზე ფიქრობდ... აქ სულ სხვა ქვეყანაა, ვერა და ვერ შეეგუე აქაურობას. უპატრონობა უწესრიგობა, უპატივცემულობა, მკვლელობა, ძარცვა, ქურდობა, ადამიანის უუფლებობა ამერიკაში ჩვეულებრივი ამბავია... არ გეგონოს, თავს გაცოდებდე და გაბრალებდე, არა, არ იფიქრო!—აქ მხოლოდ ფულია გაბატონებული, ყველაზე და ყველაფერზე მაღლა რომ დგას, და მას დიდი და პატარა ემორჩილება — ფულის სამოვნელად ადამიანები სიცოცხლეს სწირავენ, არ ერიდებიან ერთმანეთს, ვერავის დაამეგობრებ, ვერავის გაუზიარებ გულის ნადებს...

რომელი ერთი მოგწერო ჩემი შვილნელა დღეების შესახებ... რა საკვირველია, არიან ადამიანები, ძალიმოხერები, განცხრომით რომ ცხოვრობენ და დროსტარებაზე ფიქრობენ... ახლა მე ძმიმე ავადმყოფი ვარ, მაგრამ საავადყოფოში დაწოლაზე უარი ვთქვი, რადგან დღეღამეში ასი დოლარის გადახდაა საჭირო. ვინ იცის, როგორ წარიმართება ჩემი ცხოვრება... თუ მეღირსა შიხ დაბრუნება, ხომ კარგი და კარგი, არადა, რას ვიზამ, ბედს დავემორჩილები... გზამდეთ, ჩემი ერთგულება... ისე კი, მრავალჯერ მიხატრია, ნეტავ ქერჩში ძტრის ტყვეით დავრილიხ ძოვმკვდარიყავი და ამ სატანჯველში არ ჩავვარდნილიყავი...

გეხვეევთ, გკოცნით თქვენი დანატრებული და სიყვარულით მოწყურებული ძალვა“.

...წერილის მიღებიდან არ გასულა ერთი თვე, ვარამ ქალქ ჩიკაგოდან მიიღო ძალვას დეპეშა, რომ იგი ტრაისტული საგზურით მოვგზავრება საბჭოთა კავშირში და ქალქ ძოსკოვში, აეროპორტზე სთხოვდა დახვედრას...

საპაერო ლაინერი დაეშვა. ვარა და თავისი ოცდათვრამეტი წლის შვილი ომარი სულმოუთმენლად ეცდიდნენ ოცდათექვსმეტი წლის უნახავი მეუღლისა და მამის გამოჩენას...

— შალვა!

— მამა!

— თქვენ გენაცვალოთ და შემოგეკლოთ ძალვა!...

ეს იყო სიხარულისა და სიყვარულის აუწერელი ზეიმი...

შალვა ჩამოშორდა ამერიკის ტურისტულ ჯგუფს და საბჭოთა კავშირის მთავრობას სთხოვა ნება დაერთო დარჩენილიყო სამშობლოში...

მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ შალვა თბილისიდან ახმეტაში დაბრუნდა, სადაც ამჟამად მისი მეუღლე, შვილი და შვილიშვილები ცხოვრობენ...

შეგვუერბდი უცხოეთიდან დაბრუნებულ გაწამებულ შალვას და გამახსენდა აკაკის ცნობილი ლექსი:

„ცა-ფიროუ-ხმელეთ
ზურმუტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!“.

მართლაც, რა შეედრება მშობლიურ მიწა-წყალს, მის სიტკბოებას და მამაპაპეულ კერას...

გიორგი პაპიაშვილი.

• • •

სურათზე (მარცხნიდან): შალვა ბაჩიაშვილი თავის მეუღლესთან და ვაჟიშვილთან.

36 წლის

შემდეგ...

პრეტენდენტთა ფინალური...

გადამწყვეტი შეხვედრების წრე

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ბად-კისინგენში, სადაც მიმდინარეობს მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი მაია ჩიბურდანიძესა და ალა კუშნირს შორის, იწყება გადამწყვეტ შეხვედრათა პერიოდი. ანგარიშია 5:3 ქართველი მოჭადრაკის სასარგებლოდ. საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ **ი. კოტკოვს** თავისი აზრი გამოეთქვა ბად-კისინგენში გათამაშებული უკანასკნელი პარტიების გამო, გამოეთქვა პროგნოზი მომავალ შეხვედრათა თაობაზე.

— სპეციალისტთა დიდ უმრავლესობას სწამს ახალგაზრდა პრეტენდენტის წარმატება, — თქვა ი. კოტკოვმა, — რომელიც ორი ქულით წინაა. მართალია, მატჩის უკანასკნელ პარტიებში კუშნირი თითქოს რამდენადმე გამოცოცხლდა და შეამცირა სხვაობა ანგარიშში, მაგრამ, ვიმეორებ, რომ ყველას გვაქვს მაიას საბოლოო გამარჯვების იმედი.

— ძალიან კარგია, — თქვა შემდეგ ი. კოტკოვმა, — რომ ახალგაზრდა მოჭადრაკე არ დაიბნა მეექვსე პარტიის წაგების შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, როცა მეშვიდე პარტია გადაიდო ჩიბურდანიძისათვის უარესი პოზიციით, მაიამ და მისმა სეკუნდანტმა — დიდოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ შინაური ანალიზის პროცესში გამოძებნეს თამაშის ოპტიმალურად უკეთესი გეგმა, რომელმაც ჩვენს მოჭადრაკეს საშუალება მისცა დაეცვა თავისი პოზიცია.

რაც შეეხება შედარებით მშვიდად მიმდინარე მერვე პარტიას, უნდა ვთქვა, რომ მაია, რომელმაც დებიუტში უპირატესობას ვერ მიაღწია, ზუსტად იცავდა ჩვენს მითითებებს — არ ცდილობდა ძალად გაერთულებინა ბრძოლა იქ, სადაც ეს შეუძლებელია, ახსოვდა, რომ ყოველი ნახევარი ქულაც ახლოებს სანუკვარ მიზანს.

— ერთადერთი, რისაც მაინც ცოტათი მეშინია, — თქვა საუბრის დასასრულს ი. კოტკოვმა, ის არის, რომ შავებით მაია ძალიან თავგამოდებით იყენებს მხოლოდ ძველ ინდურ დაცვას. ეს, ვიმეორებ, აიოლებს კუშნირის მზადებას იმ შეხვედრებისათვის, რომლებშიც იგი თეთრებით თამაშობს. არის იმის საშიშროება, რომ ჩვენი მოჭადრაკის წინააღმდეგ გამოიყენონ რაიმე სიახლე. მაგალითად, მეშვიდე პარტიაში კუშნირმა აირჩია ფიგურების განვითარების ისეთი სქემა, რომელიც იშვიათად გვხვდება და მაიაზე ამან არც თუ ისე კარგი გავლენა მოახდინა.

მოდით, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს წინ — საკუთით შესაძლებელია, რომ ერთ-ერთ უახლოეს შეხვედრაში მაია შეცვლის თამაშის ტაქტიკას. (საქინფორმი).

ჭიდაობა

საბჭოთა ძიუდოისტების წარმატება

თბილისის სპორტის სასახლეში დასასრულს მიუახლოვდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი. გუშინ საღამოთი დამთავრდა 65 და 71 კგ. წონითი კატეგორიების მოჭიდავეთა ასპარეზობა.

ორივე წონაში საპრიზო ადგილები საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ. წარმოგიდგენთ პრიზიორებს: 65 კგ — 1. ჯ. **პონომარიოვი**, 2. ნ. **სოლოდუხინი**, 3. ვ. **ელჩანინოვი** და ა. **ყასაპი**; 71 კგ — 1. ბ. **გუბავა**, 2. მ. **ილინიჩი**, 3. ა. **ყარიაული** და გ. **ხინჭიკაშვილი**.

როგორც ვხედავთ, 71 კგ წონის კატეგორიაში ოთხი საპრიზო ადგილიდან სამი საქართველოს წარმომადგენლებმა მოიპოვეს. ეს უთუოდ, დიდი წარმატებაა.

დღეს იასპარეზებენ 60 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავენი. ამას გარდა, გათამამდება აბსოლუტური პირველობა.



სურათზე: ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული თბილისელი **რამაზ ხარშილაძე** (95 კგ).

ა. ხაფურაულია ფოტო.

ფეხბურთი

25.000 მაყურებელი სოხუმის სტადიონზე

გუშინ სოხუმის ახალ სტადიონზე გაიმართა თბილისისა და სოხუმის დინამოელ თანაკუმანდელთა ამხანაგური მატჩი. თამაშის პირველ ნახევარს შედეგი არ მოუცია. შესვენების შემდეგ თბილისელებმა ორი გოლი გაიტანეს. (რ. შენგელიამ 55-ე წუთზე, ხოლო მ. მაჩაიძემ 57-ე წუთზე).

ახალ, მშენებარე სტადიონზე გამართულ ამ პირველ შეხვედრას დაესწრო 25 ათასი მაყურებელი.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გოგია (გაბელია), კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ხიზანიშვილი, ჩივაძე, მ. ხაჩაიძე, გ. მაჩაიძე (ოკასელეიძვილი), ჩელებაძე (ქორიძე), შენგელია, დარასელია.

ორი დღით ადრე სოხუმის ს. ჭანბას სახელობის დრამატულ თეატრში თბილისელ ფეხბურთელებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სოხუმელებმა.

ი. გოგეჩია,
(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

ჩოგბურთი

გამარჯვებით დაიწყო

ტალინში ახლახან დამთავრებულ ესტონეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის შემდეგ დაიწყო ახალი შეჯიბრება: ამჟერად, 37-ე საკავშირო ტურნირი, რომელშიც 64 სპორტსმენი იღებს მონაწილეობას: ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენთაგან სპატიო მიზეზებით არ ასპარეზობენ მხოლოდ ორნი — ო. მოროზოვა და თ. კაკულია.

ვაჟთა ერთეულების შეჯიბრებაში დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისელი ა. მეტრეველისა და კიეველი გავრილოვის I წრის შეხვედრამ. მეტრეველმა ეს მატჩი დამაჯერებლად მოიგო — 6:2 6:4. ამ მატჩისადმი ინტერესი კი იმანაც გამოიწვია, რომ მეტრეველს ტრამვის გამო კარგი ხანია არ უსპარტაობია.

კალათბურთი

ახალი სისტემით

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩი. ლენინგრადის „სპარტაკი“ საკუთარ მოედანზე შეხვდა ცსკა-ს. გაიმარჯვეს არმიელებმა ანგარიშით 106:80.

კალათბურთის საკავშირო ფედერაციამ ქულათა დარიცხვის ახალი სისტემა შემოიღო: მოგებისათვის — 2 ქულა, წაგებისათვის — 1, თამაშზე გამოუცხადებლობისათვის — 0. ცხადია, შესაბამისად შეიცვალათ ქულათა რაოდენობა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს. ამის გათვალისწინებით საბურნირო ცხრილში ლიდერთა მდგომარეობა დღეისათვის ასეთია: მოსკოველ არმიელებს 31 ქულა აქვთ (32 შესაძლებლობიდან), ლენინგრადის სპარტაკელებს, თბილისის დინამოელებს (ორივეს — 32-დან) და მოსკოვის დინამოელებს (34-დან) — 26-26 ქულა.

13 წლის რეკორდსმენი



ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, რომ 13 წლის თბილისელმა მოსწავლემ ინგა აზმაიფარაშვილმა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში საქართველოს აბსოლუტური რეკორდი (2 წუთი და 36,9 წამი) დაამყარა. სურათზე თქვენ ხედავთ ნორჩ სპორტსმენს ინგა აზმაიფარაშვილს.

ნ. ხოშტარიას ფოტო.

ბოგბურთი

გამარჯვებით დაიწყო

ტალინში ახლახან დამთავრებულ ესტონეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის შემდეგ დაიწყო ახალი შეჯიბრება: ამჟერად, 37-ე საკავშირო ტურნირი, რომელშიც 64 სპორტსმენი იღებს მონაწილეობას: ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენთაგან სპატიო მიზეზებით არ ასპარეზობენ მხოლოდ ორნი — ო. მოროზოვა და თ. კაკულია.

ვაჟთა ერთეულების შეჯიბრებაში დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისელი ა. მეტრეველისა და კიეველი გავრილოვის I წრის შეხვედრამ. მეტრეველმა ეს მატჩი დამაჯერებლად მოიგო — 6:2 6:4. ამ მატჩისადმი ინტერესი კი იმანაც გამოიწვია, რომ მეტრეველს ტრამვის გამო კარგი ხანია არ უსპარტაობია.

ბოქსიორები

ლიდერობს ბორჯომის ნაკრები

საქართველოს ზამთრის მეოთხე სპარტაკიადის პროგრამით ბაკურიანში გაიმართა შეჯიბრება 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ორი ცალი ჯამში (186,1 ქულა) გაიმარჯვა (ნახტომების სიგრძე 88,5 და 93,5 მ) თბილისელმა მ. ბაკაევმა („სპარტაკი“).

მარათონულ დისტანციაზე (50 კმ) რბოლაში უძლიერესი იყო თბილისელი სტუდენტი ა. მოროზოვი (2 საათი, 44 წუთი და 22 წამი).

ექვსი დღის ასპარეზობის შემდეგ კვლავ ლიდერობს ბორჯომის ნაკრები (880 ქულა). მეორე ადგილზეა თბილისის (765), ხოლო მესამეზე — ბოგდანოვიჩის კოლექტივი (480).

ზ. მიქაძე,
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

ასპარეზობენ ბიატლონისტები

ბაკურიანი, 11 თებერვალი. (საქინფორმი). ამ მაღალმთიან კუროორტზე გრძელდება ბიატლონში სსრ კავშირის თასის გათამაშება. ეს უკანასკნელი შეჯიბრებაა, რომლის შედეგების მიხედვით შეადგენენ სსრ კავშირის ნაკრებ გუნდს ავსტრიაში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.

დღეს ბიატლონისტები ერთმანეთს შეეჯიბრნენ 10 კილომეტრზე სპრინტერულ რბოლაში. საუკეთესო დრო უნვენა ქვეყნის ნაკრების დებიუტანტმა ოძსკელმა ვლადიმერ ბარნაშევმა — 36 წუთი და 45,8 წამი.

მისი მეტოქეები იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონი ნიკოლოზ კრუკლოვი (გორკი) და მსოფლიოს ჩემპიონი ალექსანდრე უშაკოვი (ლენინგრადი), მაგრამ ორივე სპორტსმენს ხელი მოეცარა. ბარნაშევი კი მიზანს არ აცდენია.

კრუგლოვმა უჩვენა მეორე დრო — 37.18,6. უშაკოვმა — მესამე — 37.24,6.

12 თებერვალს ბიატლონისტები გამართავენ შეჯიბრებას ესტაფეტის პროგრამის უკანასკნელ სახეობაში.

ტელევიზია

12 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნეკინსკის ჩანახატები“, 09.40 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართული ენაზე), 10.10 — „საჭადრაკო სკოლა“, 10.30 — „მაღვიძარა“ (მოსკოვიდან), 11.00 — შვეიცარიელთა რუსული ენა, 11.45 — „კინოფაფნა“, 12.15— „ვერნისაჟი“ (ფერადი), 12.45 — სატელევიზიო პროგრამა „ჯანმრთელობა“, 13.15 — „კინოს მოყვარულთათვის“, 14.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (მოსკოვიდან), 15.00 — ტელეკურსელთათვის— ქართული ენა, 15.30 — „ხუთწლედის წინა ხაზზე“ — სატელევიზიო პროგრამა, 16.10 — ბავშვებისათვის — ოპერა „ზიოლქუდა“ (ფერადი), 17.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჯურტატი“ (ფერადი), 17.20 — „საერთაშორისო პანორამა“ (მოსკოვიდან), 17.50 — „კონცერტი, 18.15 — „ალისა ფრეინდლიხის შემოქმედებითი საღამო“. I ნაწილი, 19.15 — „კინომოგზაურობის „ლუბი“ (მოსკოვიდან), 20.15 — „ალისა ფრეინდლიხის შემოქმედებითი საღამო“. II ნაწილი, 21.20 — სატირულ-იუმორისტული კინოჟურნალი „ფიტილი“ № 181 (ფერადი), 21.30— „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.45 — უფროსებისათვის — მუტატიანიკაციური ფილმი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „გიორგი საკაძე“ (II სერია).

მეორე პროგრამით

17.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ჩრდილოეთის რაფსოდია“ (ფერადი), 18.15 — კონცერტი, 18.55 — მუტატიანიკაციური ფილმი, 19.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თავმჯდომარის ცხოვრება“, 20.00 — მხატვრული ფილმი „მოსკოვი, ჩემი სიყვარული!“ (ფერადი), 21.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამყაროს შეცნობა“.

თეატრი

12 თებერვალი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ეროლანდა (დღისით), **გორდა** (საღამოს); **შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — დასაწყისი** (დღისით), **თუთარაჯელა** (საღამოს); **კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეზოში ავი ძალია** (დღისით და საღამოს); **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სათაგური** (დღისით), **ლამარა** (საღამოს); **მანიატიურების სახელმწიფო — გამარჯვების ღიმილი; ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — კაცის ტვირთი.**